საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა


# საარბიელო

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 17 ოქტომბერი 2002 №197 (1719) | ფასი 50 თეთრი




# საქართველო — რუსეთი
# თამაში ზნელდება

რუსები ევროპის ჩემპიონატის მეათე შესარჩევ ჯგუფში პირველ ადგილზე რომ გავლენ და სასწაული იქნება, რომ ვერ გავიდნენ, თუ ნამუსი აქვთ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას დიდი მადლობა უნდა გადაუხადონ და ზედ ერთი კარგი მალარიჩიც მიაყოლონ. ამით სულაც არ გვინდა იმის თქმა, რომ რუსეთი სხვაგვარად პორტუგალიაში ვერ გაემგზავრება, მაგრამ ქართულმა ფედერაციამ საქმე ერთი ორად რომ გაუიოლა, ფაქტია.

ფედერაცია რუსეთზე რომ მუშაობდა, ჯერ კიდევ წილისყრისას გამოჩნდა, როცა დუბლინში საქართველოს წარგზავნილები, ალექსანდრე ჩივაძე და ვალერი ჩოლარია უსიტყვოდ დათანხმდნენ რუსეთის წარდგენილ კალენდარს, თითქოს თავისი ვარიანტის შედგენისას რუსები იმაზე ფიქრობდნენ, ქართველებს ვაამოთო. ჰოდა, რა გასაკვირია, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია რუსებს ახლაც დანებებოდა.

საქმის ვითარება ასეთია: შაბათს ჩაშლილი თამაშის მერე უნდა ამოქმედებულიყო უეფას წესდების ის მუხლი, რომელიც მატჩის მეორე დღეს გადათამაშებას ბრძანებს.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ჩინოსნებიც ამბობენ, კვირას თამაში ჩვენი ნაკრების წისქვილზე ასხამდა წყალსო.

ჩვენ არ ვიცით, როგორ გამოიყენებდა ჩივაძის გუნდი ამ შანსს, ეგებ, ვერც მოეგო, მაგრამ ფედერაცია თვლიდა, რომ შანსი ჰქონდა და... შეგნებულად არ გამოიყენა!

სამაგიეროდ, გამოიყენა გამონაკლისი წესიდან, რომ გუნდების ურთიერთშეთანხმებით მატჩის უფრო გვიან დროს გადატანა დასაშვებია.

მიზეზი? თურმე ნუ იტყვით და, ჯენტლმენ ფედერაციელებს ამგვარი ფორა არ სჭირდებათ! თურმე რუსეთი და საქართველო ერთი დიდი ოჯახის წევრები არიან და ერთმანეთს უნდა დაუთმონ — ესე იგი, საქართველომ უნდა დაუთმოს, რადგან რუსეთის ნებით დათმობილი, რადიაციული სამარხების გარდა, არავის არაფერი ახსოვს.

და განა მარტო მატჩის შედეგზეა ლაპარაკი — თამაშის ხანგრძლივი დროით გადადება საქართველოს ასეულ ათასობით დოლარით აზარალებს, მაგრამ ამას ვინ დაეძებს.

ჯერ სად ხართ — ნელ-ნელა გვაჩვევენ იმ აზრს, რომ გადათამაშება შესაძლოა ნეიტრალერ მოედანზე გაიმართოს. აკი გვიმტკიცებდნენ, უეჭველად თბილისში შედგებაო?! ფედერაციის გენერალურმა მდივანმა გუშინ გამოგვიცხადა, როცა მაგას ვამტკიცებდი, არ ვიცოდი, რუსების ავტობუსს ქვა თუ ესროლესო.

გენერალურმა მდივანმა ამ ინციდენტის თაობაზე მოხდენიდან რამდენიმე საათის მერეც არ იცოდა! საერთოდ, იცის ვინმემ რამე ფედერაციაში? ცხადია, იმის გარდა, რომ რუსებს ყოველთვის ყველაფერი უნდა დაუთმო?

არადა, თვით ვიაჩესლავ კოლოსკოვი, ფიფა-უეფაში ფრიად გავლენიანი პიროვნება ალაპარაკდა ნეიტრალური მოედნის ვარიანტზე. ფედერაციის კომენტარი კი ასეთია, რას ამბობთ, არ იკადრებდაო. და თურმე, მატჩი მართლაც ნეიტრალურ მოედანზე თუ გაიმართა, გენერალური მდივნის თქმით, ერთი ქვასროლიას და ჟურნალისტების ბრალი იქნება, თორემ ფედერაცია ყველას წინაშე პირნათელია და იმ ჩაშლილი მატჩისთვის იდეალურად ყოფილა მომზადებული.

გუშინ „ნტვ ფუტბოლმა“ გამოაცხადა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას თამაშის 2003 წლის შემოდგომისთვის გადატანა უნდაო. რომ გავშიფროთ, იმ დროისთვის, როცა ან რუსეთი იქნება ჯგუფიდან უკვე გასული, ან საქართველო იქნება ჩარჩენილი, ან ერთდროულად გასული და ჩარჩენილი. მოკლედ, როცა თამაში პრაქტიკულ მნიშვნელობას დაკარგავს ან ერთ-ერთს ქულები დასჭირდება, მეორეს კი არა. ნეიტრალური მოედნის ვარიანტიც გაიხსენეთ და ეგებ, გულმა რეჩხი გიყოთ. მაგრამ არ შეშინდეთ, ქართველი ფედერალები ამ ცნობას იდიოტობას უწოდებენ. ისე, საიდან ესიზმრებათ „ნტვ ფუტბოლის“ ჟურნალისტებს ასეთი უცნაური სიზმრები?

ეროვნული ბიბლიოთეკა



უელსი — იტალია. უელსელთა მეკარე პოლ ჯოუნსი საკუთარ მცველებს ჰაერში წაეხმარა



გერმანია სირცხვილისგან მიროსლავ კლოზეს ამ გოლმა იხსნა

## 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

### მესამე ტური. 16 ოქტომბერი

**I ჯგუფი**

მალტა 0:4 საფრანგეთი

ისრაელი — კვიპროსი გადაიდო

**II ჯგუფი**

ლუქსემბურგი 0:7 რუმინეთი

ნორვეგია 2:0 ბოსნია

**III ჯგუფი**

ჩეხეთი 2:0 ბელარუსი

ავსტრია 0:3 ჰოლანდია

**IV ჯგუფი**

უნგრეთი 3:0 სან მარინო

**V ჯგუფი**

ისლანდია 3:0 ლიტვა

გერმანია 2:1 ფარერები

**VI ჯგუფი**

საბერძნეთი 2:0 სომხეთი

ჩრდ. ირლანდია 0:0 უკრაინა

**VII ჯგუფი**

თურქეთი 5:0 ლიხტენშტაინი

ინგლისი 2:2 მაკედონია

**VIII ჯგუფი**

ბულგარეთი 2:1 ანდორა

ესტონეთი 0:1 ბელგია

**IX ჯგუფი**

იუგოსლავია 2:0 ფინეთი

უელსი 2:1 იტალია

**X ჯგუფი**

რუსეთი 4:1 ალბანეთი

ირლანდია 1:2 შვეიცარია

## ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი შესარჩევი ეტაპი

მესამე ტური. 15 ოქტომბერი

**III ჯგუფი**

ჩეხეთი 3:0 ბელარუსი

**X ჯგუფი**

რუსეთი 1:0 ალბანეთი

## ამხანაგური მატჩები

იაპონია 1:1 იამაიკა

პოლონეთი 2:0 ახ. ზელანდია

შვედეთი 2:3 პორტუგალია

ესპანეთი 0:0 პარაგვაი

## გერმანია

**სამხრეთ რეგიონალლიგა გადადებული მატჩი**

ბაიერნი (მ) 0:2 ელვერსბერგი

## პოლონეთი

**თასის I ეტაპი**

ლეგია 0:1 რადომსკო

## იტალია

**სერია C1/B. VIII ტური**

აველინო 2:0 ლანჩანო



ოლივერ კანს ლამის სახე ჩაუწიხლეს



ინგლისელი ალან სმიტისთვის წითელი ბარათი უცხო სულაც არ არის

## კალათბურთი

## ევროლიგა

პირველი ჯგუფური ეტაპი. II ტური. 16 ოქტომბერი

**A ჯგუფი**

სკიპერი 88:78 ალბა

პო ორტეზი 77:74 ციბონა

ეფესი 84:83 ბენეტონი

**B ჯგუფი**

ოლიმპია 72:76 ტაუ

ბუდუჩნოსტი 72:78 უნიკახა

**C ჯგუფი**

ცსკა 93:57 პარტიზანი

## ულების თასი

ჯგუფური ეტაპი. I ტური. 16 ოქტომბერი

**D ჯგუფი**

შარლეროა 98:90 შოლე

რიკო 94:99 ზადარი



ირლანდია — შვეიცარია. გარი დოჰერტიმ (№15) და ირლანდიელებმა შვეიცარიული ბარიერი ვერ გადალახეს

# ფედერაცია ბნელ საქმეში პირნათელია — დამნაშავე სტადიონია

## ჯენტლმენმა და ხუთოსანმა ჩოლარიამ რუსებს დებულება არ დააძალა

შაბათს ბნელში დარჩა „ლოკომოტივი". ქართულ ფეხბურთში აქამდეც ბნელოდა და, სამწუხაროდ, მომავალიც ბნელი ჩანს, უფრო სწორად, არაფერიც არ ჩანს. რუსეთთან წაგება უკვე წაგებულია. ეს ბრძოლა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ წააგო. ჩაბნელებული „ლოკომოტივის" თაობაზე ბევრს საუბრობენ — საბოტაჟი, დივერსია, ჩაწყობილ-გარიგებული ამბავი. ამის გარკვევა უშიშროების სამინისტროს დავუთმოთ, ჩვენ კი ის ვიკითხოთ, რატომ არ გააკეთა სფფ-მ ჩაბნელებულ „ლოკომოტივზე" ქართული საქმე.

„ლოკომოტივზე" წყვდიადია. მატჩის ინსპექტორი რუდოლფ ბატა მოუთმენლად ელის დამამშვიდებელ პასუხს შეხვედრის ორგანიზატორთაგან. შუქი არ ჩანს. ბატა დებულებას ჩაჰკირკიტებს — მატჩი მეორე დღეს უნდა გაიმართოს. სხვათა შორის, შაბათს, საღამოს ათი საათისთვის, ბევრმა სააგენტომ გაავრცელა ასეთი ინფორმაცია: „საქართველო — რუსეთი კვირას გადათამაშდება." ვითომ იჩქარეს სააგენტოებმა ინფორმაციის გავრცელება? როგორც აღმოჩნდა, უჩქარიათ. ისინი უბრალოდ დაეყრდნენ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის რეგლამენტს, სადაც წერია, რომ მატჩის ვერდასრულების შემთხვევაში გადათამაშება მეორე დღეს უნდა დაინიშნოს. და დაინიშნებოდა კიდეც, ქართველები რუსთა ფეხისხმას რომ არ აჰყოლოდნენ და დებულების ძირითადი პუნქტის დაცვა მოეთხოვათ.

სფფ-მ, უბრალოდ რომ ვთქვათ, ყოველმხრივ მცდარი პოზიცია დაიჭირა. აკი სფფ-ის ჩინოსნებიც ამბობენ, მატჩი კვირას რომ გადათამაშებულიყო, საქართველოს ნაკრების წისქვილზე დაასხამდა წყალსო. ამას რად უნდა ფედერაციის დასტური, ჰკითხეთ გაზაფხულზე, ოთხშაბათისთვის საალბანეთოდ გახაზირებული რუსებისთვის როგორი იყო კვირას მოგუგუნე ტრიბუნების ქვეშ კბილებღრჭიალა ქართველებთან თამაში. დავანებოთ თავი ნაკრებს, ანუ სახალხო ინტერესს, ფედერაციას ამ მხრივ დიდად არც არასდროს უზრუნია, მაგრამ კვირას თამაში თავად სფფ-ისთვისაც ხელსაყრელი იყო. გადათამაშების მოგვიანებით გამართვა ხომ გარანტირებული ათიათასობით დოლარიანი ხარჯიცაა ფედერაციისთვის. განა რუსთა ხელმეორე ვიზიტი მთლიანად სფფ-ის დასაგეგმ-გადასახდელი არ არის? მაგრამ მიუხედავად ასეთი ვითარებისა, სფფ-მ რუსთა დაკრულზე იცეკვა და საკითხავია, რატომ. „ჩვენ ჯენტლმენები ვართ. რუსეთს ოთხშაბათს ალბანეთთან უნდა ეთამაშა. ასეთ ვითარებაში ჩვენი მხრივ არაკორექტული იქნებოდა მათთვის მატჩის კვირას გადათამაშების დაძალება" — აი, ასეთი პასუხი აქვს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურ მდივან ვალერი ჩოლარიას, რომელსაც წარმოდგენაც არა აქვს იმაზე ჯენტლმენობდა თუ არა შაბათს ბილეთის ფასით არშემინებულ, პატრიოტული გრძნობით ანთებულ სტადიონზე მისულ ქომაგს, იმ დაჩოქებული რუსეთის სანახავად მისულს, დაუნანებლად რომ გვიყრის ბომბს და ღვარძლს. არა მგონია, „ლოკომოტივზე" შუქის ჩაქრობით მომხდარი დივერსია, თუკი დივერსია იყო, იმაზე დიდი იყოს, რაც საქართველოს ეროვნულ ნაკრებს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ გაუკეთა.

გვსურდა, კითხვებზე, რომლებიც ბლომად დაგვიგროვდა, ფედერაციის პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიას პასუხები მოგვესმინა, მაგრამ, სამწუხაროდ, მან ჩვენთვის ვერ მოიცალა. „სარბიელს" ჟურნალისტებთან ურთიერთობაში გამობრძმედილმა გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამ უმასპინძლა.

**— რა მოხდა შაბათს „ლოკომოტივზე"?**

— მოხდა ის, რომ თამაში ჩაიშალა.

**— რამაც ყველაზე ცუდ დღეში საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ჩააგდო...**

— რა თქმა უნდა, ჩვენ ხომ ბრწყინვალედ შესრულებული სამუშაოს სანაცვლოდ ფინანსური ზარალი მივიღეთ. გადათამაშებისთვის რუსეთის სამასპინძლოდ დამატებითი, სოლიდური თანხაა საჭირო.

**— მატერიალურ მხარეს არ ვგულისხმობ. გაწბილებული გულშემატკივარი პასუხს ითხოვს, ჩემი აზრით, მომხდარზე პასუხისმგებელი ფედერაციაა.**

— არამც და არამც. ფედერაციას „ლოკომოტივზე" მომხდარ გაუგებრობაში ბრალი არ მიუძღვის. რაც მოხდა, იმაზე პასუხი სტადიონის ხელმძღვანელობამ უნდა აგოს.





რუდოლფ ბატამ ხუთიანი დამიწერა: ამტკიცებს ვალერი ჩოლარია

**— ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მატჩის ორგანიზებასა და ჩატარებაზე პასუხისმგებელი მასპინძელი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციაა.**

— გიმეორებთ, ამ საქმეში ოდნავადაც არ გვეკისრება პასუხისმგებლობა. მე ვიქირავე „ლოკომოტივის" სტადიონი. იჯარის სანაცვლოდ გადავიხადე თანხა, დანარჩენი უკვე სტადიონის დირექციის და მომსახურე პერსონალის საზრუნავი იყო. სწორედ მათ ვერ გაართვეს თავი მოვალეობას.

**— მესმის, რომ სტადიონი თავის განათებიან-ტრანსფორმატორებიანად იქირავეთ. იმით მაინც თუ დაინტერესდით, თურქების მიერ დამონტაჟებულ განათების სისტემას საგარანტიო ვადა გასული ხომ არ ჰქონდა?**

— არ დავინტერესებულვარ. რაში მაინტერესებდა? მატჩამდე ყველაფერი წესრიგში იყო, მატჩის დღესაც ჩატარდა თათბირი. უეფას ინსპექტორმა რუდოლფ ბატამ საგანგებო მიტინგიც მოაწყო, ყველაფერი წესრიგში იყო. ესე იგი, გამოდის, რომა ბატას ბრალიც იყო მატჩის ჩატარება რომ ბრძანა. მომხდარში დამნაშავე სტადიონის ხელმძღვანელები არიან. მავანთა დაუდევრობის წყალობით გამოირთო შუქი და ასეთ დროს ფედერაციის პასუხისმგებლობაზე ლაპარაკი მიზანშეუწონლად მიმაჩნია. მე იმაზე მწყდება გული, რომ ქომაგს მოლოდინი გაუცრუვდა. ამიტომ სხვების დაუდევრობის გამო მე ვუხდი ბოდიშს და მადლობასაც, რადგან გვერდით დაუდგნენ საქართველოს ეროვნულ ნაკრებს.

**— გამოძიება მიმდინარეობს...**

— არ მაინტერესებს გამოძიება, ეს ჩემი საქმე არ არის...

**— თავად თუ დაინტერესდნენ გამომძიებლები ფედერაციით მომხდართან დაკავშირებით?**

— არა და ვერც დაინტერესდებიან. არც მოვლენ ჩვენთან, მათ გასარკვევი „ლოკომოტივზე" აქვთ.

**— ბევრი დაუფარავად ამბობს, რომ ყოველივე საქართველოსა და რუსეთის საფეხბურთო ჩინოსნების მიერ დაგეგმილი სცენარით წარიმართა.**

— ასეთი სულელური მოსაზრების კომენტარისთვის დროს ვერ დავკარგავ.

**— მატჩის გაურკვეველი ვადით გადადებაზე გადაწყვეტილება ერთსულოვნად მიიღეთ სფფ-ის და რუსეთის საფეხბურთო კავშირის თავკაცებმა?**

— დიახ. წინააღმდეგი არც მატჩის კომისარი რუდოლფ ბატა ყოფილა. მან კონსულტაციისთვის რენე ებერლესთან დარეკა და სათანადო ოქმიც შედგა.

**— კოლოსკოვმა რუსულ პრესას განუცხადა, ინსპექტორის დარწმუნება დამჭირდა, რომ მატჩი კვირას არ ჩაეტარებინაო.**

— არ მჯერა პრესის. იქ არავის არაფერი სჭირდა დასარწმუნებელი. კაცურად დავილაპარაკეთ, საერთო აზრი ჩამოყალიბდა და შესაბამისი გადაწყვეტილებაც მივიღეთ.

**— თქვენ ხომ შეგეძლოთ, რუდოლფ ბატასთვის დებულების აღსრულება — კვირას თამაში მოგეთხოვათ. საქართველოს ხომ უკეთესი შანსი ექნებოდა საკვირაოდ რუსეთთან, იმის გათვალისწინებით, რომ გაზაევის გუნდს ერთი დღე აკლდებოდა ალბანელებთან მატჩისთვის მოსამზადებლად?**

— კვირას რუსეთს გაუჭირდებოდა თამაში, მაგრამ ჩვენ ერთი საფეხბურთო ოჯახი გვაქვს, ჯენტლმენები ვართ და ამიტომაც მოვილაპარაკეთ ასეთ ვარიანტზე.

**— კოლოსკოვთან შეთანხმდით, რომ მატჩი მოგვიანებით გადათამაშდეს და თანაც თბილისში?**

— დიახ, ქართველი გულშემატკივარი ასეთი შეთანხმებით არაფერს კარგავს.

**— სხვათა შორის, მიუხედავად ამისა, რომ შაბათიდან დღემდე გაზაევიც და ფეხბურთელებიც დივერსიაზე საუბრობენ და მატჩის გადათამაშებას ნეიტრალურ მოედანზე ითხოვენ, კოლოსკოვს თავიდან განსხვავებული აზრი ჰქონდა. ამბობდა, თამაში აუცილებლად თბილისში ჩატარდებაო, დღეს რუსეთის საფეხბურთო კავშირის თავკაცი სხვაგვარად ფიქრობს, ისიც ნეიტრალური მოედნის მომხრეა...**

— ვინ გითხრათ?

**— თავად კოლოსკოვმა განუცხადა რუსულ მედიას.**

— ხომ გითხარით, პრესის არ მჯერა, მე იმ სიტყვების მჯერა, რაც ერთმანეთს ვუთხარით ჩვენ და კოლოსკოვმა... თქვენ სჯობს თავი დაანებოთ დივერსიის ხსენებას, თორემ ეს ყველაფერი კარგ შედეგს არ მოიტანს. შესაძლოა, ამით საქმე გაფუჭდეს და მართლაც ნეიტრალურ მოედანზე მოგვიხდეს თამაში.

**— შაბათს ღამით პირდაპირ ეთერში განა თქვენ არ ამბობდით, მატჩი უთუოდ თბილისში გაიმართებაო? უეფას საბოლოო სიტყვამდე როგორ აიღეთ საკუთარ თავზე ამხელა პასუხისმგებლობა? ახლა კი ნეიტრალური მოედნის ვარიანტსაც ახსენებთ...**

— მე მართლაც ვთქვი, რომ მატჩი თბილისში გაიმართებოდა, მაგრამ მაშინ არ ვიცოდი, თუ ექსცესი მოხდა გულშემატკივრების მხრიდან.

**— უცნაურია. თქვენ ეს სიტყვები აეროპორტში რუსთა გაცილებისას თქვით და შეუძლებელია, ინფორმაცია არ გქონოდათ იმის შესახებ, თუ რა მოხდა სტადიონიდან რუსთა გასვლისას.**

— მე ვიცოდი, რომ მხოლოდ ქვები ისროლეს, ეს კი არ არის საკმარისი საფუძველი იმისთვის, რომ მატჩი ნეიტრალურ მოედანზე გადათამაშდეს, მერე აღმოჩნდა, რომ რუსთა ავტობუსებისთვის ჩაუმტვრევიათ შუშები.

**— ესე იგი, მაინც არსებობს საქართველო — რუსეთის ნეიტრალურ მოედანზე ჩატარების ალბათობა?**

— ჩვენ ყველა ღონეს ვიხმართ, რომ თამაში თბილისში გაიმართოს.

**— როგორ ფიქრობთ, როდის უნდა გაიმართოს გადათამაშება, როგორია სფფ-ის წინადადება.**

— ჩვენ ვფიქრობდით, რომ მატჩი წლეულს ნოემბერში, ან 2003 წლის აპრილში უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ ალექსანდრე ჩივაძესთან კონსულტაციისას აპრილის ვარიანტზე შევჩერდით. ჩივაძეს არ აწყობს ნოემბერში თამაში, რადგან ტრავმირებულია შოთა არველაძე, გასათვალისწინებელია გვარამაძისა და ჯამარაულის მდგომარეობაც. მათ უახლოესი ადამიანები დაკარგეს, ამიტომ აპრილში თამაშს ვარჩევთ, მაგრამ ეს ჩვენზე არ არის დამოკიდებული. გასათვალისწინებელია რუსეთის მოსაზრებაც, მათაც დაგეგმილი აქვთ კალენდარი. ამიტომ შესაძლოა, ისეც მოხდეს, რომ უეფას მიერ გამოყოფილ სარეზერვო დღეს არც ჩატარდეს თამაში. ასეთ შემთხვევაშიც პრობლემები გვექნება ჩვენც და რუსეთსაც, რადგან ამ დროს შესაძლოა, კლუბებმა არც გამოუშვან ლეგიონერები.

**— ანუ პრობლემები გვექნება ჩვენ, რადგან რუსეთს სულ სამი ლეგიონერი ჰყავს.**

— ვნახოთ, რა იქნება. ბევრი რამ ჩვენს შეთანხმებაზეა დამოკიდებული. მაშინ ჟორდანიამ და კოლოსკოვმა ტელეფონით ისაუბრეს და აპრილის ვარიანტი განიხილეს.

**— თქვით, რომ თამაშის აპრილში გამართვის მომხრე ხართ, დღეს კი რუსულმა „ნტვ ფუტბოლმა" ასეთი ინფორმაცია გაავრცელა — საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას — საქართველო — რუსეთის მატჩის გამართვა 2003 წლის ნოემბერში სურსო. ამაზე რას იტყვით?**

— ასეთ იდიოტობას რა კომენტარი უნდა გავუკეთო. ეს ცილისწამებაა, „ნტვ ფუტბოლთან" არანაირი შეხება არ გვქონია. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა იმდენი ნაღდად იცის, რომ უეფა შესარჩევი ეტაპის დასრულების შემდეგ ჩაშლილი მატჩის გადათამაშებას რომ არ დაუშვებს. სხვათა შორის, იგივე „ნტვ ფუტბოლი" მაბრალებდა, რომ თითქოს მითქვამს, 12 ოქტომბერს „ლოკომოტივზე" მომხდარ ექსცესზე საქართველოს სახელმწიფომ უნდა აგოს პასუხიო. ვიმეორებ, მომხდარში სტადიონის ხელმძღვანელობაა დამნაშავე. ფედერაციამ თავის მოვალეობას რუსთა მასპინძლობისას ჩინებულად გაართვა თავი, ეს რუდოლფ ბატას ბარათშიც დაფიქსირებულია. იქ წერია „ვერი გუდ". ჩვენ ხუთიანი პლუსით მივიღეთ.

**ბაატა ძმანტალიანი**



საქართველოს ჩემპიონატი 14 უმაღლესი ლიგა პირველი ეტაპი

# 11 ტური

# ჩხაიძემ ლოკომოტივი დეპოში დააყენა

## ცაკარიასს ქართველი თანაშემწეები მოუხსნეს





გაჩრო კოთოლაშვილის ფოტო

აკაკი ჩხაიძე გუშინდელმა თამაშმა ისე გააცოფა, რომ რკინიგზელებს სასამართლო მოუწყო

თბილისი. 16 ოქტომბერი. 16 საათი. ლოკომოტივი. 500 (ტევადობა 25 600)

**ლოკომოტივი 1:2 ბათუმი**

0:1 მოდებაძე (54), 0:2 ტულუში (76), 1:2 ჯანაშია (86)

ლოკომოტივი: ლომაია, ბალაშვილი, სალუქვაძე, ორბელაძე, ლ. მიქაძე (კაიდარაშვილი 66), მ. ბურნაძე, გელა ქორიძე (რ. ონიანი 56), კვარაცხელია, სირაძე, ზ. ჯანაშია, დავითაშვილი (რუსია 56)
სათადარიგონი: იფარდავა, გილაური, ტიტვიაშვილი, გოგინაშვილი
მწვრთნელი: ლუის ცაკარიასი

ბათუმი: ტოგონიძე, ხუჯაძე, მაჭუტაძე, არჩვაძე, მინდაძე, კობიძე, ქაცარავა, რომანაძე, ტულუში, დარჩიძე (ცინარიძე 88), გ. მოდებაძე
სათადარიგონი: ი. ბალაძე, ბეჟანიძე, სიგურიძე, გალოგრე, დ. ბოლქვაძე, კუჭულია
მწვრთნელი: ასლან ბალაძე

გაფრთხილება: კობიძე (65)

მსაჯები: დ. სანაია (სოხუმი); ზ. ხუციშვილი, კ. თბილელი (ორივე თბილისი); ზ. ანიაშვილი (გორი)

სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია

ჯარიმა: 14-13; კუთხური: 5-2; კარისკენ დარტყმა: 6-2; კარში დარტყმა: 8-4; თამაშგარე: 4-5

**მამუკა კვანტალიანი**

**ძნელად** თუ ივარაუდებდა ვინმე იმას, რაც გუშინ „ლოკომოტივზე" დატრიალდა. აქამდე ერთი თამაშის ვერმომგებმა „ბათუმმა" საქართველოს ნაქები ვიცე-ჩემპიონი ბეჭებზე გააკრა. რკინიგზული კლუბის ხელმძღვანელობისთვის გუშინდელი წაგება იმაზე გაცილებით მძიმე გადასატანი აღმოჩნდა, ვიდრე 12 ოქტომბერს საქართველო — რუსეთისას შუქის ჩაქრობა. კლუბის ხელმძღვანელთა რეაქციაც მძაფრი იყო. სხვა საქმეა, რამდენად სამართლიანი, მაგრამ აკაკი ჩხაიძის და კომპანიის რისხვა მეხად დაატყდათ რკინიგზელ ფეხბურთელებს.

ჩხაიძის რისხვაზე ქვემოთ ვილაპარაკოთ, მანამდე კი ის ვთქვათ, როგორ მოიგო „ბათუმმა". გუშინ „ლოკომოტივი" ლერწმის იმ მოფამფალებულ ღეროს ჰგავდა, რომელსაც სულის ერთი ღონიერი შებერვალა აკლია და წელში გადატყდება. სტუმრებმაც, რომლებიც მეთოთხმეტე ჩემპიონატში ფიზიკურად საკმაოდ მოიკოჭლებენ, ერთი ღრმად ჩაისუნთქეს და რკინიგზელებსაც ისე შეუბერეს, რომ „ლოკომოტივი" წელში ველარ გაიმართა.

ვერავინ იტყვის, მასპინძლებს გატანის შანსი არ ჰქონიათო. თითქოს უპირატესობასაც ფლობდნენ, მაგრამ საჭირო მომენტში ფეხს ვერ მოუჩქარეს, მოედანზე ვეტერანებივით დაბოტებდნენ და შანსიც მეტოქეს გადაულოცეს.

გუშინ „ბათუმმა" აშკარად მეტოქეზე მაღალი დონის ფეხბურთი ითამაშა. ასლან ბალაძემაც უტყუარი ალღო გამოავლინა. თემურ ტულუშს შეტევების ორგანიზება, თამაშის ტემპის რეგულირება დაავალა, ხოლო მკლავზე კაპიტნის სამკლავურშებმული მაჭუტაძე დაცვის ცენტრში გაამწესა. ტულუშმა, ვინც გუშინ ეროვნულ ჩემპიონატში ჩატარებული მატჩების რაოდენობით ერთპიროვნული რეკორდსმენი გახდა, თავისი გუნდის გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო. სტუმართა მიერ გატანილი ორი გოლიდან ერთი უშუალოდ თავის აქტივს შემატა, ერთიც საგოლე პასი მიითვალა. მაჭუტაძემ კი, რომელსაც ეტყობა, ჯანი ძველებურად აღარ ერჩის, საზრიანად აზღვია თანაგუნდელები. ლომაიას კარსაც საგოლედ დაემუქრა და მატჩის ბოლოს რკინიგზელის ძლიერად დარტყმული და კარისკენ საგოლედ წასული ბურთიც ზედ ხაზიდან გამოიტანა.

–კვარაცხელიამ ხელსაყრელი მომენტიდან დარტყმა დააზანა, დავითაშვილმა ტოგონიძეს ვერ აჯობა, ჯანაშიამ ვერ გაიტანა და პირველი ტაიმის შუაწელში სტუმრებმაც გამოიღეს ხელი. ხუჯაძის სახიფათო საჯარიმო დარტყმის და მაჭუტაძის ღონიერი თავურის შემდეგ ლომაიამ ივარგა და ვითარება განმუხტა.

მეორე ტაიმი ათი წუთის განახლებულიც არ იქნებოდა, სტუმრები რომ დაწინაურდნენ. ტულუშმა დასარტყმელ პოზიციაზე გაიყვანა მოდებაძე, რომელმაც საჯარიმოს ხაზთან ბურთი გაისწორა და მაშინვე ჭვინტი ამოსცხო. ლომაიამ რეაქცია მოასწრო, ბურთს ხელიც წაატანა, მაგრამ მისი შეჩერება ვერ მოახერხა.

„ლოკომოტივი" გაშვებულმა გოლმა ცოტა კი შეაფუცხუნა, ცაკარიასმაც ორმაგი შეცვლა გააკეთა და რკინიგზელებიც შეტევაზე გადავიდნენ, მაგრამ ხან ტოგონიძე ყოჩაღობდა, ხან მცველები თამაშობდნენ ზუსტად, ხანაც მასპინძლები სცოდავდნენ.

შეტევაში გართულ რკინიგზელებს ბათუმელთა კონტრშეტევა გაეპარათ. რომანაძე საჯარიმოში შეიჭრა, ტულუში ლომაიას შეატოვა, თემურმა მეკარეს უგანა და კარშიც ეშმაკურად დაარტყა. ლომაიას დასაზღვევად კარში ჩამდგარ მცველს მუხლი მოეკეცა, ბურთი კი მარცხენა დაბალ კუთხეში შეგორდა.

„ბათუმს" რომ ძალები შერჩენოდა, მეტოქეს კიდევ გამოიჭერდა კონტრიერიშებზე, მაგრამ სტუმრებს მეტი აღარ შეეძლოთ. „ლოკომოტივმა" კი თავისი უბილო შეტევებით მხოლოდ ერთი გოლის გაქვითვა შეძლო. თამაშის დამთავრებამდე ხუთიოდ წუთით ადრე ჯანაშიამ ზუსტად დაჰკრა თავი მარჯვენიდან საჯარიმოში ჩაკიდებულ ბურთს. მალე სანაიამაც დასასრულისა ჩასტვინა და გასახდელებისკენ წასვლა ბრძანა.

რკინიგზელებმა მსაჯს პრეტენზიები მაშინვე წაუყენეს, ერთ მომენტში პენალტი გვეკუთვნოდა და რად დაგვჩაგრეო. მსგავსი საყვედურით სანაია მსაჯთა ოთახშიც გვარიანად შეაწუხეს, იქ მასპინძელთა კლუბის ერთ-ერთი ხელმძღვანელი აქტიურობდა.

ბათუმელს ბურთი ხელზე მართლაც მოხვდა, ყოველ შემთხვევაში, ტრიბუნიდან ასე გამოჩნდა, მაგრამ რკინიგზელებს საპრეტენზიოდ თავი არ უნდა გამოედოთ. მსგავსი თამაშის ფონზე მსაჯის გაკიცხვა ნამდვილად გადამეტებული, ყურით მოთრეული მიზეზი გახლდათ.

ნამატჩევს საპრესკონფერენციოდ აბავის ეცალა. აკაკი ჩხაიძეს ჯერ გასახდელშივე დაენთო ცეცხლი, იქიდან კი ვნებათაღელვამ „ლოკომოტივის" სათადარიგო მოედანზე გადაინაცვლა.

საკვირველი სანახავი იყვნენ მინდვრის შუაგულში გამწკრივებული, თავჩაღუნული ფეხბურთელები, რომლებსაც კლუბის თავკაცები ნოტაციებს უკითხავდნენ. ყველაფერი საბჭოეთის დროინდელ ამხანაგურ სასამართლოს წააგავდა.

ბუნებრივია, ჟურნალისტებმა ბევრიც ვერაფერი მოვისმინეთ, როგორ ანამუსებდნენ ხელმძღვანელები ფეხბურთელებს, მაგრამ გასახდელში და მის გარეთ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ კი შევიტყვეთ.

გაცეცხლებულ გულზე აკაკი ჩხაიძეს ასეთი გადაწყვეტილება მიუღია: „ლოკომოტივიდან" დათხოვილია ლუის ცაკარიასის ოთხივე ქართველი თანაშემწე — სერგო კოტრიკაძე, გია ჯიშკარიანი, ზაურ სვანაძე და თემურ ჩხაიძე თავისუფლები არიანო, უთქვამს კლუბის პრეზიდენტს.

ლუის ცაკარიასისთვის კი პირდაპირ განუცხადებია, ან გუნდს მიხედე და ვითარება სასწრაფოდ გამოასწორე, ანაც გზას დაგილოცავთო.

გუშინ ოფიციალური კომენტარისგან ყველა თავს იკავებდა. ყურმოკვრით კი ეს შევიტყვეთ, პრეზიდენტს დათხოვილი მწვრთნელებისთვის უთქვამს, ცაკარიასს უგულოდ ეხმარებითო.

ზემოთ ნახსენები ოთხეულიდან „ლოკომოტივს" ყველაზე ბოლოს გია ჯიშკარიანი გაეცალა. რაღაც საბუთები დაუტოვა კლუბის წარმომადგენლებს, მშვიდობა უსურვა და წავიდა.

პრეზიდენტის რისხვას ვერც „ლოკომოტივის" ფეხბურთელები — სულიკო დავითაშვილი და როინ ონიანი გადაურჩნენ. გუნდიდან ორივე გაუშვესო, ჩურჩულებდნენ მოსეირეები.

გუშინდელი მარცხის კონკრეტულ მოთამაშეებზე გადაბრალება სიკეთეს რომ ვერ მოიტანს, ფაქტია. საქმეს ვერც სამწვრთნელო შტაბის მოკვეთა უშველის. „ლოკომოტივის" პრობლემები უფრო გლობალური ჩანს და იქნებ ხვალ აკაკი ჩხაიძესაც მოულბეს გული, გუნდიდან დათხოვნილები უკან დააბრუნოს.

ჯერჯერობით კი საფეხბურთო წრეებში ჭორად მოარული ხმები რეალობას ემსგავსება, პირველი ეტაპის ბოლოს „ლოკომოტივიდან" ყველა გამოცდილი მოთამაშის გაშვებას აპირებენო.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 10 | 9 | 1 | 0 | 23:1 | 28 |
| ტორპედო | 11 | 8 | 1 | 2 | 23:7 | 25 |
| ვიტ ჯორჯია | 11 | 8 | 1 | 2 | 18:5 | 25 |
| ლოკომოტივი | 10 | 6 | 1 | 3 | 16:7 | 19 |
| კოლხეთი | 11 | 5 | 2 | 4 | 12:12 | 17 |
| სიონი | 11 | 5 | 1 | 5 | 14:16 | 16 |
| მეტალურგი | 11 | 4 | 1 | 6 | 7:16 | 13 |
| მერანი | 11 | 3 | 2 | 6 | 12:21 | 11 |
| მილანი | 11 | 2 | 3 | 6 | 5:17 | 9 |
| დილა | 11 | 2 | 2 | 7 | 6:17 | 8 |
| ბათუმი | 11 | 1 | 5 | 5 | 6:11 | 8 |
| გორდა | 11 | 1 | 0 | 10 | 4:22 | 3 |

პირველ ტურში „მერანს", „მეტალურგს", „გორდას" და „მილანს" ჩამოერთვათ 0:3 წაგება

# ასათიანის საქმე ქუთაისში გაირჩა



ალექსანდრ შტელინი

**ქუთაისის „ტორპედოს"** ახალგაზრდა ლიდერ მალხაზ ასათიანს უთამაშებლობა არ ემუქრება. ფეხბურთის ფედერაციამ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების კაპიტანი თავისებურად დასაჯა — ზედ რუსეთთან მატჩის წინ ასათიანი ვახტანგ კოპალეიშვილს შეკრებიდან დაათხოვნინა. იყო იმაზე ლაპარაკიც, რომ ფედერაცია ასათიანის ფეხბურთიდან სამუდამო მოკვეთით იმუქრებოდა, თუმც პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ განაცხადა, სანამ „ტორპედო" ოფიციალურ წერილს არ გვაახლებს, მანამდე გადაწყვეტილებას არ მივიღებთო: „თუ „ტორპედომ" წერილობით დაადასტურა მალხაზ ასათიანის მიერ მწვრთნელ ალექსანდრ შტელინზე ხელის გარტყმის ფაქტი, ფეხბურთელი მკაცრად მხოლოდ ამის მერე დაისჯება".

გუშინწინ ასათიანი გუნდს ეროვნული ჩემპიონატის მეთერთმეტე ტურის მატჩში რუსთავში ახლდა, თუმც „გორდასთან" სამატჩო განაცხადში არ ყოფილა, ქუთათურებს ტრიბუნიდან ქომაგობდა.

ბუნებრივია, დავინტერესდით და გუშინ „ტორპედოს" ვიცე-პრეზიდენტ დიმიტრი რამიშვილს დავუკავშირდით, აი, რა გვითხრა ბატონმა დიმიტრიმ:

–კლუბის დირექტორატმა ამ დღეებში განიხილა ეს საკითხი. მოვუსმინეთ როგორც შტელინს, ისე ასათიანს. შევაფასეთ მომხდარი უსიამოვნო ინციდენტი და მივიღეთ გადაწყვეტილება — დაისაჯოს მალხაზ ასათიანი ფულადი ჯარიმით და მიეცეს ერთწლიანი პირობითი დისკვალიფიკაცია. განმეორების შემთხვევაში უმკაცრესად დავსჯით.

–ასათიანმა „გორდასთან" მატჩი შეგნებულად გამოტოვა. მან ჩვენივე მოთხოვნით არ ითამაშა.

–მიღებული გადაწყვეტილება ერთსულოვანია და კლუბის ინტერესებსაც ითვალისწინებს. ფეხბურთელის ფსიქოლოგიური მდგომარეობაც გასაგებია — „სიონთან" მატჩის წინა დღეს ბაბუა გარდაეცვალა, ამას სატრანსფერო ამბავთან დაკავშირებული აჟიოტაჟი დაუმატეთ და...

–დადასტურდა, ასათიანს მწვრთნელისთვის ხელი არ გაურტყამს. შტელინიც უარყოფს და თვითმხილველებიც ამასვე ამბობენ. რეაქცია იყო მხოლოდ სიტყვიერი, იმ გათვლით, რომ მწვრთნელი ქართულს ვერ გაიგებდა. სამწუხაროდ, მან ნერვები ვერ მოთოკა.

–თქვენ არასწორი ინფორმაცია გაქვთ. ასათიანს „ტორპედოსთან" კონტრაქტი დეკემბრამდე კი არა, 2003 წლის სექტემბრამდე აქვს გაფორმებული. მიღებული გადაწყვეტილებაც ამ ვადის ამოწურვამდე იქნება ძალაში.

–ერთი სიტყვით, საკითხი მოგვარებულია, ალექსანდრ შტელინმაც და მალხაზ ასათიანმაც გასარკვევი გაარკვიეს და შერიგდნენ. ახლა თავად მწვრთნელზეა დამოკიდებული, ათამაშებს თუ არა მას ეროვნული ჩემპიონატის მორიგ ტურში. ფეხბურთის ფედერაციას ოფიციალური წერილი უკვე გავუგზავნეთ.

**გიორგი გუგაძიძე**



მალხაზ ასათიანი

# გამქონდა, გამაქვს, გავიტან!
## ზურაბ იონანიძეს 150 შეახსენეს

*გუშინდელივით მახსოვს ეროვნულ ჩემპიონატში 100 გოლის გამტანთა კლუბში მისი გაწევრიანება. ეს სამი წლის წინ მოხდა. შემოდგომაზე „ტორპედომ" ხობში 2:1 იმარჯვა და ქუთაისელებს წყვილი გოლით ზურაბ იონანიძე შეეწია. კოლხთა კარში გატანილი მეორე საიუბილეო გამოდგა ტორპედოელისთვის.*

*გუშინწინ რუსთაველ „ფოლადზე" უჩვეულო თითქოს არაფერი მომხდარა. ჩემპიონმა იოლად აჯობა მასპინძელს, „გორდას" 4:1 სძლია. უჩვეულოსი არადა, საყურადღებო, შეიძლება ითქვას, ისტორიული ამბის მომსწრენი კი შეიქმნენ ამ თამაშის საცქერლად მისულნი. საქმე ის გახლავთ, რომ ტორპედოელმა იონანიძემ ისევ წყვილი გოლი მიითვალა და... ეროვნულში გატანილების თამასა 150-მდე ასწია. 150 ბურთი 291 მატჩში. მეგოლე ვარო, ამან უნდა თქვას.*

*ზურაბ იონანიძე არაერთხელ ყოფილა „სარბიელის" რესპოდენტი. ამჯერად ტორპედოელს სათამაშო კარიერაში ახალ მიღწევასთან დაკავშირებით ვესაუბრეთ*

— სიმართლე გითხრათ, არასდროს ვითვლიდი გატანილებს, მოლოცვისთვის კი, ცხადია, მადლობელი ვარ.

**— მართლა არ იცოდი, რომ სადაც იყო, 150-ეს გაიტანდი?**

— თუ დამიჯერებთ, ასეა. მხოლოდ თამაშის შემდეგ შევიტყვე. პირველმა მალხაზ ასათიანმა მომახარა. კმაყოფილი ნამდვილად დავრჩი, თუმც, ვფიქრობ, განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. გამქონდა, გამაქვს და აწიც ბევრს გავიტან. ღმერთის წყალობით, ასაკის მიუხედავად, ჯანზე ვარ და ახლო მომავალში თამაშისთვის თავის დანებებას არ ვაპირებ.

**— გამოდის, შენგან მე-200-საც უნდა ველოდოთ?**

— აუცილებლად და, ამ საქმეს დიდი ხნით არ გადავდებ, თუ რაღა თქმა უნდა, ისევ ეროვნულში მომიწია ბურთაობა.

**— ეს როგორ გავიგოთ?**

— „ტორპედოსთან" მომავალი წლის აგვისტომდე მაქვს კონტრაქტი. ამის შემდეგ, თუ შესაძლებლობა მომეცა, მინდა თამაში უცხოეთში გავაგრძელო, არადა, ისევ ქუთაისში დავრჩები. ვნახოთ, დრო გვიჩვენებს.

**— ეროვნული ჩემპიონატის ტიტულები არ გაკლია. საუკეთესო ფეხბურთელადაც იყავი დასახელებული, ბომბარდირიც ყოფილხარ, „ტორპედოსთან" ერთად სამჯერ ოქრო და ორჯერ თასი მოგიპოვებია. რა დაგრჩა მოსახვეჭი?**

— ერთი შეხედვით, არაფერი, მაგრამ ყველაფერი, რაც ჩამოთვალეთ, ისტორიას ჩაბარდა, ახალ წარმატებებზეა საჭირო ფიქრი, სხვანაირად თამაშს აზრიც არ აქვს.

**— „სამგურალში" და „სამტრედიაში" გითამაშია, რუსეთშიც გიბურთავია, მაგრამ, დამეთანხმებით, „ტორპედომ" გამოგაჩინა...**

— მართალია, ოღონ მე ჩემს ძველ კლუბებშიც იმას ვაკეთებდი, რაც შემეძლო.

**— შენი აზრით, „ტორპედოს" ზედიზედ სამჯერ გაჩემპიონებას რამ შეუწყო ხელი?**

— კლუბში პირობების გაუმჯობესებამ, რაც თავისთავად ფირმა „არგომართილის" და კერძოდ, მისი პრეზიდენტის, ზურაბ ხინიკაძის დამსახურებაა. ნუ დაგვავიწყდება ისიც, რომ „ტორპედომ" ცხონებული დავით ყიფიანის ხელში გაუსინჯა გემო ოქროს. მწვრთნელზე ბევრი რამაა დამოკიდებული.

**— „ტორპედო" რევაზ ძოძუაშვილმაც გააჩემპიონა...**

— ამაგი არავის უნდა დავუკარგოთ.

**— აწი როგორ იქნება, „დინამო" ძველი დიდების დაბრუნებას ლამობს და ამას ჯერჯერობით, საქმითაც ადასტურებს, დღესდღეობით კონკურენტებს უსწრებს. „ტორპედოს", ალბათ, გაუჭირდება ჩემპიონობის შენარჩუნება?**

— ამას მომავალი გვიჩვენებს. ხორვატი მწვრთნელის, ივო შუშაკის ხელში „დინამომ" საგრძნობლად მოუმატა თამაშს, თუმც, არა მგონია, „ტორპედოზე" ძლიერი იყოს. ქუთაისში „დინამოსთან" დავმარცხდით, მაგრამ, ვფიქრობ, მეტოქეს თამაშით ვაჯობეთ. უბრალოდ, იღბალმა გვიმუხლთა. რას იზამ, ასეც ხდება.

**— ამის შემდეგ „ლოკომოტივთანაც" წააგეთ.**

— რკინიგზელებთან ძალიან ცუდად ვითამაშეთ, ვერ დავლაგდით, მაგრამ ჯერ არაფერი დაგვიკარგავს. ჩემპიონობას ასე იოლად არ შევეელევით, მთავარი ბრძოლები წინ გვაქვს.

**— მოედანზე შრომატევად სამუშაოს ასრულებ. ასე იყო დავით ყიფიანის, მერე რევაზ ძოძუაშვილის და ახლაც, ალექსანდრ შტელინის ხელში.**

— ყიფიანი უკანდახეულ თავდამსხმელად მათამაშებდა. ძოძუაშვილი უფრო შემტევ ნახევარმცველად მამწესებდა, შტელინი კი, ფაქტობრივად, ორივე ამ ფუნქციას მაკისრებს და თუ ვთქვათ, საკუთარ ნახევარზე ჩავრჩი, მცველის მოვალეობაც უნდა შევასრულო. საერთოდ, შტელინი აქტიური, შემტევი ფეხბურთის მიმდევარია და ეს გუნდის შედეგიანობიდანაც ნათლად ჩანს.

**— მართალია, რომ შტელინი თავიდან უკმაყოფილო იყო შენი გარჯით?**

— არ დაგიმალავთ, ხშირად მსაყვედურობდა და, ალბათ, სამართლიანადაც. მოსამზადებელი ციკლის შემდეგ თანდათან ჩავდექი ფორმაში. არადა, ახლაც ვგრძნობ მწვრთნელი ბოლომდე კმაყოფილი არ არის ჩემით. რა ვქნა, ათ თამაშს რომ კარგად ჩაატარებ, ერთი შეიძლება „ჩაგივარდეს". მე კი არა, ზიდანი და რონალდო ვერ თამაშობენ სტაბილურად.

**— ამასწინათ შტელინმა გვითხრა, ჩეხურ „სპარტას" თავიდან რომ შეგვახვედრა, გაცილებით უკეთესად ვითამაშებდითო...**

— მართალი უთქვამს, ცუდ დროს მოგვიწია ჩეხებთან დაპირისპირება, სათამაშო პრაქტიკა გვაკლდა. ახლა უკეთესად ვიცით, რა უნდა ვაკეთოთ მოედანზე და იმ შეცდომებს აღარ გავიმეორებდით, რაც მაშინ დავუშვით.

**— „ტორპედოში" გაახალგაზრდავების პროცესი დაიწყო. არის კი გუნდში ღირსეული ცვლა?**

— მწვრთნელი სწორი მიმართულებით მუშაობს. გვყავს ახალგაზრდები, რომელთაც კარგი ფეხბურთის თამაში შეუძლიათ. მალხაზ ასათიანი, გაგა ჩხეტიანი, დავით გამეზარდაშვილი, სხვებიც არიან, ოღონდ მე იმას ვეტყოდი ბიჭებს, რომ საქმისადმი სერიოზული, პროფესიული დამოკიდებულების გარეშე ბევრს ვერაფერს მიაღწევენ, დიდი შრომა და ოფლისღვრა მართებთ.

**— შტელინზე ნაწყენი ჩანხარ, არადა, სწორედ მან გვითხრა, იონანიძე ეროვნულ ნაკრებში თამაშის ღირსიაო?**

— ეტყობა, სწორად ვერ გამიგეთ. მწვრთნელზე ნაწყენი არ ვარ. უბრალოდ, ხომ უნდა გაიგოს, მეც ადამიანი ვარ და არა რობოტი, ხომ შეიძლება ყოველთვის ერთ დონეზე ვერ ვითამაშო.

**— ისე, ნაკრებში თამაშს შეძლებ?**

— რატომაც არა, ურიგო ფორმაში არ ვარ, მაგრამ მარტო ჩემზე ხომ არ არის დამოკიდებული.

**— ეროვნულ ჩემპიონატში გატანილებით, ალბათ, კარგა ხანს ვერავინ მოგწვდება?**

— ღმერთმა ქნას, ეს მალე მოხდეს, გოლეადორები გამოჩნდნენ, მაგრამ ორ-სამ სეზონში ვერავინ დამეწევა თანაც გითხარით, 150-ზე გაჩერებას არ ვაპირებ.

**იუზა ბაციტაძე ქუთაისიდან**





ზურაბ იონანიძის შეჩერება ძნელი საქმეა

ზურაბ იონანიძე — 150

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1990 | სამგურალი წყალტუბო | A | 19 | 1 |
| 1991 | სამგურალი წყალტუბო | A | 13 | 3 |
| 91-92 | სამგურალი წყალტუბო | A | 35 | 11 |
| 92-93 | ტორპედო ქუთაისი | A | 29 | 14 |
| 93-94 | სამტრედია | A | 31 | 14 |
| 94-95 | სამტრედია | A | 25 | 12 |
| 95-96 | სამტრედია | A | 15 | 23 |
| 1996 | ჟემჩუჟინა სოჭი (რუსეთი) | A | 24 | 7 |
| | ჟემჩუჟინა 2 სოჭი (რუსეთი) | D | 1 | 2 |
| 1997 | ლოკომოტივი ნიჟნი ნოვგოროდი (რუსეთი) | A | 7 | 1 |
| 97-98 | ტორპედო ქუთაისი | A | 10 | 3 |
| 98-99 | ტორპედო ქუთაისი | A | 24 | 16 |
| 99-00 | ტორპედო ქუთაისი | A | 27 | 25 |
| 00-01 | ტორპედო ქუთაისი | A | 27 | 11 |
| 01-02 | ტორპედო ქუთაისი | A | 21 | 9 |
| 02-03 | ტორპედო ქუთაისი | A | 11 | 8 |

# თემურ ტულუში: არ მოწიოთ, არ დალიოთ...

*ეროვნულ ჩემპიონატში ჩატარებული მატჩების რაოდენობით ბათუმელმა თემურ ტულუშმა ყველას გადაამეტა. მის მიერ ნათამაშევი გუშინდელი მატჩი კარიერაში 302-ე აღმოჩნდა. გორელი ჯიმშერ მარეხაშვილის რეკორდი, ორი წლის წინ რომ დამყარდა, ბათუმელმა დაამხო.*

*გუშინ ვაკეში ტულუშმა სარეკორდოდ და სახაზღოდ ითამაშა — გოლიც მიითვალა, მწვრთნელ-თანაგუნდელებისგან მილოცვებიც მიიღო და შინ გამგზავრებამდე „სარბიელსაც" ესაუბრა.*

— ჩემს მიერ ჩატარებული მატჩების რაოდენობა სათითაოდ დათვლილი მქონდაო, რომ ვთქვა, ტყუილი გამომივა. ტრავმის გამო „ბათუმს" გურჯაანში „მილანის" წინააღმდეგ სათამაშოდ ვერ გავყევი. იქიდან დაბრუნებულმა თანაგუნდელებმა მითხრეს, თურმე რეკორდამდე ორი მატჩიღა გიკლია, სარბიელელებმა გიკითხესო.

**— დღეს ნამატჩევს რას გრძნობდით. როგორია რეკორდსმენობა?**

— სასიამოვნო გრძნობაა, რაღაცაში პირველი ხარ, ეს კი, ჩემი აზრით, სოლიდურობას გმატებს.

**— მრავალწლიანი კარიერის მანძილზე ყველაზე მეტად რაზე გწყდებათ გული?**

— გვიან მივხვდი, რომ ჩემი საფეხბურთო მატარებელი ჩავლილი იყო. ბევრი შეცდომა დავუშვი და კარიერა დავკარგე. მე თითქმის ყველაფერი მქონდა ნამდვილი ფეხბურთის სათამაშოდ, მაგრამ ერთად მოვინდომე ბურთის გორებაც და ყველა ამქვეყნიური სიამოვნებაც — სასმელი, სიგარეტი, დროს ტარება. საუკეთესო წლებს ნელ-ნელა ვკარგავდი.

ჩინებული ბიჭები არიან ჩემი ახალგაზრდა თანაგუნდელები, ნიჭიერება არ დაეწუნებათ და ზრდის პერსპექტივაც აქვთ, მაგრამ ვუყურებ და ჩემი თავი მახსენდება. არ მინდა, ჩემი შეცდომები გაიმეორონ, სულ ამას ჩავჩიჩინებ და ზოგჯერ უთანხმოებაც მოგვდის. თუმცა მე არ მოვეშვები, მინდა, ვაიძულო ბურთის გარდა ყველაფერი გვერდზე გადადონ, მოითმინონ, გაიჭირვონ და მერე ყველა სიკეთე ერთბაშად მოვა. არ გაიმეორონ ჩემი და ბევრი ჩემისთანა ვეტერანის შეცდომები! ამას ყველა ახალგაზრდა ფეხბურთელის გასაგონად ვამბობ.

**— აქამდე ნათამაშევი 302 მატჩიდან განსაკუთრებით რომელს გამოარჩევდით?**

— ეროვნულ ჩემპიონატში ბევრი სასიხარულო წუთები განმიცდია, თუმც ყველაზე გამორჩეული თასების მფლობელთა თასზე, შოტლანდიური „სელტიკის" წინააღმდეგ ბათუმში ჩატარებული შეხვედრა იყო. ასეთი დონის გუნდთან მანამდე არ მეთამაშა. იქ მთელი სული და გული ჩავაქსოვე. ჯერ ვიგებდით, მერე სტუმრები იყვნენ წინ, გათანაბრება მოვახერხეთ. კარგად მახსოვს, რამდენიმე მცველს გავცდი, ერთს თავზეც გადავატარე ბურთი და შორეულ კუთხეშიც ზუსტად დავარტყი. ჩემს კარიერაში ის გოლიც საუკეთესოდ მიმაჩნია.

**— საქართველოს ნაკრების წევრიც იყავით. ეროვნულმა გუნდმა ვერც მაშინ და ვერც მერე ვერაფერს მიაღწია ღირებულს...**

— დამნაშავე ყველაა. კონკრეტული პიროვნებები არ უნდა ვეძებოთ. მწვრთნელს მეტი გაქანება და პრინციპულობა მოეთხოვება, ფეხბურთელს კი უფრო მეტი თავდადება და საქმის უსიტყვოდ კეთება. ამდენი წელიწადია, ნაკრების წევრები ერთად თამაშობენ, მათ ხომ უკვე უსიტყვოდ უნდა ესმოდეთ ერთმანეთის. ცოტა უხეშ შედარებას მოვიყვან, მე და პაატა მაჭუტაძე უხმოდ ვუგებთ ერთმანეთს. ის გაიხსნება, მე არც ვუყურებ, ვიცი, საითაც წავა. რა თქმა უნდა, ჩანაფიქრი ხშირად გვეფუშება, მაგრამ ჩვენ თითქმის ქართული ფეხბურთის წარსული ვართ, ისინი კი ახალგაზრდა, უცხოურ კლუბებში მოთამაშე ხალხია. ეტყობა, ჩვენი მწვრთნელებიც რაღაცაში მოიკოჭლებენ, თორემ ნაკრების ამჟამინდელი შემადგენლობას თავისი უნდა დაემტკიცებინა.

**— გაივლის დრო, ბუცების კედელზე ჩამოკიდებაც მოგიწევთ. თუ გიფიქრიათ, მერე რა საქმეს მოჰკიდოთ ხელი?**

— ალბათ ცოტა ხანს კიდევ ვითამაშებ, მაგრამ მომავალზე აქედანვე თავს ვიმტვრევ. მერწმუნეთ, ჯერაც არ ვიცი, კარიერის დასრულების შემდეგ რა გზას ვეწევი. რომ დავიჩემო, ფეხბურთში დავრჩები-მეთქი, რა ვიცი, ტყუილი არ გამომივიდეს, ღმერთმა უწყის, ცხოვრება საით წამიყვანს.

**მამუკა კმანტალიანი**



თემურ ტულუში



# ტოფტინგი გასრულდა

**დანიელ ბურდობს**, 33 წლის სტიგ ტოფტინგს, რომელიც ახლა „ბოლტონ უონდერერზში" ირიცხება, კოპენჰაგენის სასამართლომ ოთხთვიანი პატიმრობა მიუსაჯა.

მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ სამშობლოში დაბრუნებულმა ტოფტინგმა ჩხუბი ატეხა კაფე „კეტრუპში" და ამ კაფეს პატრონს თავში ჩასცხო, მზარეულს კი ყბაში მოხვდა.

საკვირველი ის არის, რომ წვეულებაზე მთელი დანიის ნაკრები მოეწვიათ, მსოფლიოს ჩემპიონატზე კარგად გამოსვლისთვის პატივსაცემად.

ტოფტინგმა სასჯელს მძიმე უწოდა, თუმცა იმან კი გაახარა, რომ ვადის მოხდას ორ კვირაში დაიწყებს და მანამდე საქმეებსაც მოაგვარებს.

ტოფტინგის აგენტმა კარსტ პრინკმა კი განაცხადა, რომ „ბოლტონმა" არ უნდა მიატოვოს ფეხბურთელი, რომელიც ამ კვირაში ინგლისში ჩავა.

ბოლტონელებს მართლაც არაფერი განუცხადებიათ ფეხბურთელის მომავლის რაიმე ცვლილების გამო. აგენტი ამბობს, რომ ამ კვირაში სტიგი ივარჯიშებს და „ტოტენჰემის" წინააღმდეგ მინდორზეც გავა.

ტოფტინგი ერთხელ უკვე ნასჯლომია: სამი წლის წინათ მან კაფეს პატრონი გალახა დანიურ ქალაქ ორჰუსში და ოცი დღე მოიხადა.

**ირაკლი გამყრელიძე**



ლუიშ ფელიპე სკოლარიმ მუნდიალზე ინგლისს ისე ჩაუარა, ზედ არ შეხედა

# მსოფლიოს ჩემპიონი მწვრთნელი კლუბში მიტანით

## სკოლარი ბედის საძებნელად ევროპას მოადგა

**ლუიშ ფელიპე სკოლარის** ევროპაში მუშაობა ადრეც სურდა, მაგრამ რაც ბრაზილია გაამსოფლიოჩემპიონა უფრო ხმამაღლა და გაბედულად ალაპარაკდა ბებერ კონტინენტზე გადმობარგებაზე.

ამას წინათ „დიდ ფილს" მექსიკის ნაკრების გაწვრთნა შესთავაზეს, თუმცა ბრაზილიელმა მოძღვარმა იცის, თუ სად თამაშობენ დიდვარსკვლავები და სად მოდინება ფულის მდინარეები. ჰოდა, შინ ჯდომა არას მარგებსო და ბედის საძებნელად ევროპისკენ გამოეშურა.

სკოლარიმ ინგლისით დაიწყო და სანამ სამხრეთისკენ ჩაუყვებოდა, „არსენალის" საწვრთნელ ბაზას მიაკითხა, სადაც ცხადია, ჟურნალისტებმა მოიმწყვდიეს საკუთარი თავის რეკლამირებისთვის უკეთეს საშუალებას ბრაზილიელი ახა, სად ნახავდა და მოჰყვა:

— მართალია, მექსიკელებმა ნაკრების გაწვრთნა შემომთავაზეს და ეს საკითხი ნოემბრის ბოლოს გადაწყდება, მაგრამ მე ევროპაში მუშაობა მირჩევნია. თუ რომელიმე კლუბში მოვეწყვე, იქ ჩემებურ წესრიგს დავამყარებ. ბრაზილიაში მეტი ყურადღება ექცევა ბურთის ფლობისა და ტექნიკის ასამაღლებელ ვარჯიშებს. ამას გარდა, მოთამაშეებს, მწვრთნელებსა და გულშემატკივრებს შორის ფეხბურთისადმი ევროპისგან სრულიად განსხვავებული დამოკიდებულებაა. ვფიქრობ, ამ საკითხების მოგვარება ნებისმიერ კლუბს მეტ კეთილდღეობას მოუტანს.

სკოლარიმ ცალკე აღნიშნა მისი შეგირდის, ამჟამად „არსენალში" ყოჩაღად მობურთალი ჟილბერტო სილვას წარმატებები: „სილვა, ძალიან ათლეტური და ამავდროულად სწრაფი ფეხბურთელია. იგი ტაქტიკურად ერთ-ერთი ყველაზე გამართულად მოთამაშეა ჩემპიონთა ლიგაში."

ინგლისურმა მედიამ შანსი არ გაუშვა და მსოფლიოს ჩემპიონატზე მათი ნაკრების მეოთხედფინალში დამარცხებული გუნდის მწვრთნელს თანამემამულე ფეხბურთელებზეც დაეკითხა:

„თქვენს ნაკრებს ბევრი მაღალი დონის მოთამაშე ჰყავს, სვენ გორან ერიკსონიც სწორი მიმართულებით მუშაობს. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპს ალბათ, უპრობლემოდ დაძლევთ."

სკოლარის ბოლო პასუხი კი ინგლისელებს ნაღდად არ აღაფრთოვანებდა „დიდი ფილის" თქმით, მსოფლიოს ჩემპიონატზე ბრაზილიელთა ყველაზე უხერხული მეტოქე ბელგია ყოფილა. ცოტაც და ბელგიელები სიურპრიზს შემოგვთავაზებდნენო, აღიარა ბრაზილიელმა. ინგლისი კი, რომელთანაც პირველ ტაიმში 0:1 აგებდა, არც კიახსენა.

სკოლარის მომდევნო მასპინძელი ქვეყანა იტალია იქნება, ბრაზილიელი სერია A-ს წამყვანი მწვრთნელების — მარჩელო ლიპის, ფაბიო კაპელოს, ჰექტორ კუპერის, კარლო ანჩელოტის — ვარჯიშებს დაესწრება და ვინ იცის, იქებ რამესაც გამოჰკრას ხელი. თუ არადა, მექსიკა ხომ თითქმის გარანტირებული აქვს.

**ირაკლი ბერტაია**

# წერე და იკითხე

**მოსახდენი მოხდა**. როი კინმა დაწერა, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ კი გაარჩია.

კინის ავტობიოგრაფიაში ნაამბობი ფაქტი უყურადღებოდ არ დარჩა. 2001 წლის აპრილში, „მანჩესტერ იუნაიტედისა" და „მანჩესტერ სიტის" მატჩში, ირლანდიელი მეტოქის ნახევარმცველ ალფ ინგე ჰაალანდს ისე ეუხეშა, რომ მას კარგა ხანი გაუცდა.

თავის წიგნში როი კინმა აღიარა, იმ მომენტში შეგნებულად ჩავარტყი, მეტოქის დამტვრევა მინდოდაო.

ფეხბურთის ასოციაციის სამკაციანი კომიტეტი ამ ფაქტის გასარჩევად ბოლტონში შეიკრიბა. სამკაცას ჯიმ სტერმენი მეთაურობდა. გარჩევას ალექს ფერგიუსონიც ესწრებოდა. კინის ინტერესებს კი მისი ადვოკატი მაიკ კენედი და „მანჩესტერ იუნაიტედის" დირექტორი მორის უოტკინსი იცავდნენ. შვიდსაათიანი განხილვის შემდეგ დისციპლინარებმა როი კინი ორ პუნქტში დაადანაშაულეს.

პირველი, განზრახ ტრავმის მიყენებაა, მეორე — მოგების მიღების მიზნით ამ ამბის წიგნში გამოყენება.

ირლანდიელს სასჯელიც აწონ-დაწონის შემდეგ აკრეს. იგი ხუთმატჩიანი დისკვალიფიკაციით და 150 ათასი გირვანქით დააჯარიმეს. განაჩენი 4 ნოემბრიდან შევა ძალაში, მანამდე კი ფეხბურთელის ადვოკატს გადაწყვეტილების გასაჩივრება შეუძლია.

მორის უოტკინსი: „ვერდიქტით იმედგაცრუებულნი ვართ, ვფიქრობ, საკმარისი არგუმენტები გვქონდა კინის დასაცავად, მაგრამ დისციპლინარებთან არაფერმა გაჭრა. ცხელ გულზე რაიმე საპასუხო ნაბიჯის გადადგმას არ ვაპირებთ. დრო გვაქვს, ვიმსჯელებთ და ალბათ გადაწყვეტილებას გავასაჩივრებთ."

თუ განაჩენი ძალაში დარჩება, როი კინი მოედანს 7 დეკემბერზე ადრე ვერ დაუბრუნდება. ამ დღეს კი მისი „მანჩესტერ იუნაიტედი" ლონდონის „არსენალს" ებრძვნება.

გავიხსენოთ, რომ ბოლოს ირლანდიელმა 31 აგვისტოს, „სანდერლენდის" წინააღმდეგ ითამაშა. მაშინ მან სანდერლენდელ თანამემამულეს, ჯეისონ მაკატირს იდაყვი უთავაზა და მოედნიდან გააძევეს.

ამჟამად როი კინს ბარძაყის ტრავმა აქვს. დისკვალიფიკაციის პერიოდს ფეხბურთელი ალბათ მკურნალობისთვის გამოიყენებს და ფეხზე ოპერაციასაც გაიკეთებს.

„სანდერლენდთან" მატჩის შემდეგ უკინო „მანჩესტერ იუნაიტედმა" 9 შეხვედრიდან 7 მოიგო და 2 წააგო. ირლანდიელის ფუნქციებს ხუან სებასტიან ვერონი და ნიკი ბათი ასრულებენ. საერთოდ, როი კინის მანჩესტერულ ისტორიაში ეს რიგით მეცხრე დისკვალიფიკაციაა.

ირლანდიელი „მანჩესტერ იუნაიტედში" 1993 წელს „ნოტინგემ ფორესტიდან" გადავიდა. მასში 3 მილიონ 450 ათასი გირვანქა გადაიხადეს, ხოლო კლუბმა პრემიერლიგაც მოიგო და თასიც. იგივე გაიმეორეს 1996-ში და 1999-ში. 1999 წელს გარდა დუბლისა, ჩემპიონთა ლიგაშიც იპირველეს, რომლის ფინალიც როი კინმა ასევე დისკვალიფიკაციის (ორი ყვითელი ბარათი) გამო გამოტოვა.

საინტერესოა ისიც, რომ 1997 წლის შემოდგომაზე მას მყესები დაუზიანდა და მთელი სეზონი გაუცდა. სწორედ იმ სეზონში „მანჩესტერ იუნაიტედმა" ვერაფერი მოიგო.

1999-2000 წლების სეზონში კინი საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს და მან კლუბთან ახალი, 4-წლიანი კონტრაქტიც გააფორმა.

ამჯერად მკითხველი კიდევ ერთი ირლანდიელის, ნაკრების თავკაცის მიკ მაკარტის ახალ წიგნს ელოდება, რომელიც მომავალ თვეში გამოვა. უკვე ცნობილია, რომ მაკარტი თავის მოგონებებში მსოფლიოს ჩემპიონატზე მომხდარ კონფლიქტზეც ჰყვება და როი კინზე მწარე-მწარეებიც დაუწერია.

**გაგა ხუციშვილი**



27 სექტემბერი, 1997. როი კინს იმ დროს „ლიდსში" მოთამაშე ჰაალანდთან პირველი შეტაკება მოუხდა. ჰაალანდმა კინს სიმულანტობა დასწამა, თუმცა ამ მატჩით კინისთვის სეზონი დამთავრდა







21 აპრილი, 2001. კინმა ჰაალანდს სამაგიერო განზრახ ჩაწიხლვით გადაუხადა









კინის ავტობიოგრაფიიდან: არბიტრმა დევიდ ტერმ დამიძახა. ვიცოდი, რომ გამაძევებდა და არ დაველოდე, პირდაპირ გასახდელისკენ გავწიე

## ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი
### III ტური. 15 ოქტომბერი

**I ჯგუფი**

მალტა 0:3 საფრანგეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 5:0 | 9 |
| ისრაელი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| სლოვენია | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 3 |
| კვიპროსი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| მალტა | 3 | 0 | 0 | 3 | 0:5 | 0 |

**II ჯგუფი**

ნორვეგია 0:0 ბოსნია

ლუქსემბურგი 0:2 რუმინეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნორვეგია | 3 | 2 | 1 | 0 | 4:0 | 7 |
| ბოსნია | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| დანია | 2 | 1 | 0 | 1 | 9:3 | 3 |
| რუმინეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:3 | 3 |
| ლუქსემბურგი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:11 | 0 |

**III ჯგუფი**

ავსტრია 1:1 ჰოლანდია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ავსტრია | 3 | 2 | 1 | 0 | 3:1 | 7 |
| ჩეხეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| ბელარუსი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 3 |
| ჰოლანდია | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| მოლდოვა | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | 0 |

**IV ჯგუფი**

უნგრეთი 4:1 სან მარინო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პოლონეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 8:1 | 6 |
| შვედეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 6 |
| უნგრეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:2 | 3 |
| სან მარინო | 2 | 0 | 0 | 2 | 2:9 | 0 |
| ლატვია | 2 | 0 | 0 | 2 | 0:7 | 0 |

**V ჯგუფი**

ისლანდია 1:2 ლიტვა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 1 | 1 | 0 | 0 | 4:1 | 3 |
| შოტლანდია | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| ლიტვა | 2 | 1 | 0 | 1 | 3:5 | 3 |
| ისლანდია | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | 0 |

**VI ჯგუფი**

ჩრდ. ირლანდია 1:1 უკრაინა

საბერძნეთი 2:1 სომხეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საბერძნეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 4:2 | 7 |
| ესპანეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 3 |
| უკრაინა | 3 | 0 | 3 | 0 | 3:3 | 3 |
| სომხეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| ჩრდ. ირლანდია | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |

**VII ჯგუფი**

თურქეთი 4:2 პორტუგალია

ინგლისი 3:1 მაკედონია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თურქეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 10:3 | 9 |
| ინგლისი | 2 | 2 | 0 | 0 | 7:1 | 6 |
| პორტუგალია | 2 | 1 | 0 | 1 | 3:4 | 3 |
| სლოვაკეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:6 | 0 |
| მაკედონია | 3 | 0 | 0 | 3 | 1:8 | 0 |

**VIII ჯგუფი**

ესტონეთი 0:1 ბელგია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხორვატია | 2 | 2 | 0 | 0 | 6:2 | 6 |
| ბელგია | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| ესტონეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | 0 |
| ბულგარეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:6 | 0 |

**IX ჯგუფი**

უელსი 1:2 იტალია

იუგოსლავია 3:3 ფინეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 3 | 3 | 0 | 0 | 9:2 | 9 |
| ფინეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 8:4 | 7 |
| იუგოსლავია | 2 | 0 | 1 | 1 | 4:7 | 1 |
| უელსი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:4 | 0 |
| აზერბაიჯანი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:6 | 0 |

**X ჯგუფი**

ირლანდია 2:3 შვეიცარია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვეიცარია | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 7 |
| რუსეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 6 |
| ალბანეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ირლანდია | 2 | 0 | 0 | 2 | 2:5 | 0 |
| საქართველო | 2 | 0 | 0 | 2 | 0:5 | 0 |



# ზოგი ადის, ზოგი ჩადის
## საქართველო დგას

**ესპანეთი**, ინგლისი და იტალია, ახლანდელის მსგავსად მომდევნო სეზონშიც ოთხ-ოთხი კლუბით გავლენ უეფას ჩემპიონთა ლიგაში, პორტუგალიის ჩემპიონი კი კვალიფიკაციის გაუვლელად მოხვდება ჯგუფურ ეტაპზე.

უეფას რანგ-ლისტს კვლავაც ესპანეთი უდგას სათავეში, მას იტალია და ინგლისი მოჰყვებიან. ამ ქვეყნების ჩემპიონები და მეორეადგილოსნები ლიგაში პირდაპირ დაშვებულ 16 გუნდს შორის იქნებიან, ხოლო მესამე და მეოთხე ადგილოსნებს ოდენ ერთი საკვალიფიკაციო ეტაპის გავლა მოუწევთ.

რეიტინგში აიწია საბერძნეთმა, რომელსაც გერმანელთა და ფრანგთა დარად ლიგაში სამი გუნდი ეყოლება, მათგან მხოლოდ მესამეადგილოსანს მოუწევს კვალიფიკაციის გავლა. თუკი გერმანიისთვის და საფრანგეთისთვის სამგუნდიანობა უცხო ხილი არაა, ბერძნებისთვის ეს პირველი შემთხვევა იქნება.

ბერძენთა აღზევება ჰოლანდიელთა დაღმასვლას ნიშნავს — ნიდერლანდელები გაისად ორ გუნდს დასჯერდებიან.

პორტუგალიელებმა რუსებმა დაჯაბნეს, რომლებსაც რეიტინგში მეცხრე ადგილის გაცვლასა და შესაბამისად თავიანთი ჩემპიონის ავტომატურად ჯგუფურ ეტაპზე დასმაში ეცილებოდნენ. 2003-04 წლების სეზონისთვის პორტუგალიელებს უკეთესი მაჩვენებელი აღმოაჩნდათ. აქ უპრიანია შევახსენოთ, რომ რეიტინგში ქვეყნები, მათი გუნდების ბოლო ხუთი სეზონის მონაგარის მიხედვით ნაწილდებიან.

ასევე შეგახსენებთ, რომ მომდევნო სეზონიდან ლიგის ფორმატი იცვლება. მეორე ჯგუფური ეტაპი უქმდება და პირველი ჯგუფური ეტაპიდან გასული 16 საუკეთესო გუნდი მერვედფინალურ წყვილებად დანაწილდება.

უეფას თასზე რომელი ქვეყანა რამდენ გუნდს გაიყვანს, ამის თაობაზე უეფა ჯერ დუმს. საქმე ის გახლავთ, რომ ევროპული ფეხბურთის მამები ამ ტურნირის ფორმატის შეცვლასაც აპირებენ და მხოლოდ მერე გამოაქვეყნებენ იმის მსგავს ცხრილს, რომელსაც ქვემოთ წარმოგიდგენთ.

უეფას თასის ახალი ფორმატი სავარაუდოდ დეკემბერში, უეფას აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე დამტკიცდება, მის შემუშავებაში კი თავად უეფას გარდა ევროპული კლუბებიც მონაწილეობენ.

## ჩემპიონთა ლიგა. 2003-2004

| ქვეყანა | I შესარჩევი ეტაპი | II შესარჩევი ეტაპი | III შესარჩევი ეტაპი | ჯგუფური ეტაპი |
|---|---|---|---|---|
| 22.30 | 292 | ლუცერნი-სერვეტი | 2,4 | 3,1 | 2,7 | 1,35 | 1,27 | 1,44 |
| | | **20 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19.15 | 293 | გრასჰოპერი-ქსამაქსი | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,14 | 2,6 |
| | 294 | გრასჰოპერი-ქსამაქსი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 | | | |
| 19.15 | 295 | თუნი-ციურიხი | 2,4 | 3,2 | 2,6 | 1,37 | 1,24 | 1,43 |
| 19.15 | 296 | ვილი-დელემონი | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| | | **შვეიცარია. "B" ჯგუფი. XVI ტური** | | | | | | |
| | | **19 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20.30 | 297 | ბადენი-კრიენსი | 2,4 | 3,1 | 2,7 | 1,35 | 1,27 | 1,44 |
| 20.30 | 298 | ვინტერთური-ბელინცონა | 2,4 | 3,1 | 2,7 | 1,35 | 1,27 | 1,44 |
| 22.30 | 299 | ლოზანა-ვოლენი | 1,5 | 3,4 | 6,5 | 1,04 | 1,21 | 2,23 |
| 22.30 | 300 | სიონი-ივერდონი | 1,95 | 3,2 | 3,5 | 1,21 | 1,25 | 1,67 |
| | | **20 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17.30 | 301 | ლუგანო-კონკორდია | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| | 302 | ლუგანო-კონკორდია 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 | | | |
| 17.30 | 303 | შაფჰაუზენი-ვადუცი | 2,0 | 3,0 | 3,6 | 1,2 | 1,28 | 1,63 |
| | | **შვედეთი. XXIV ტური** | | | | | | |
| | | **20 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18.00 | 305 | აიკი-სუნდსვალი | 1,7 | 3,3 | 4,2 | 1,12 | 1,21 | 1,84 |
| 18.00 | 306 | გოტებორგი-ლანდსკრონა | 1,8 | 3,4 | 3,6 | 1,17 | 1,19 | 1,74 |
| 18.00 | 307 | კალმარი-თრელებორგი | 4,0 | 3,6 | 1,65 | 1,89 | 1,16 | 1,13 |
| | | **21 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22.00 | 308 | ჰალმსტადი-იორებრო | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| 22.00 | 309 | ჰელსინგბორგი-იორგრიტე | 2,7 | 3,3 | 2,3 | 1,48 | 1,24 | 1,35 |
| 22.00 | 310 | ჰამარბი-ნორჩოპინგი | 1,95 | 3,3 | 3,4 | 1,22 | 1,23 | 1,67 |
| | | **ნორვეგია. XXV ტური** | | | | | | |
| | | **19 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21.00 | 311 | სოგნდალი-როზენბორგი | 4,0 | 3,6 | 1,65 | 1,89 | 1,16 | 1,13 |
| | | **20 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17.00 | 312 | ბოდოი გლიმტი-მოსი | 1,9 | 3,4 | 3,4 | 1,21 | 1,21 | 1,7 |
| 17.00 | 313 | ბრანი-ლილესტრომი | 2,2 | 3,4 | 2,8 | 1,33 | 1,23 | 1,53 |
| 17.00 | 314 | სტაბეკი-მოლდე | 2,5 | 3,3 | 2,4 | 1,42 | 1,22 | 1,38 |
| 17.00 | 315 | ვიკინგი-ბრინი | 1,55 | 3,8 | 4,7 | 1,1 | 1,16 | 2,1 |
| 17.00 | 316 | ვოლერენგა-სტარტი | 1,2 | 5,6 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,58 |
| | 317 | ვოლერენგა-სტარტი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 | | | |
| | | **21 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22.00 | 318 | ოდ გრენლანდი-ლინი | 2,2 | 3,3 | 2,9 | 1,32 | 1,25 | 1,54 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ფინეთი. ფლეი ოფი** | | | | | | |
| | | **19 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19.00 | 319 | ტამპერე-ლაჰტი | 1,75 | 3,4 | 3,8 | 1,15 | 1,18 | 1,79 |
| 19.00 | 320 | ჰიკ-ალიანსი | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| | 321 | ჰიკ-ალიანსი 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 | | | |
| 19.00 | 322 | მიუპა-ჰაკა | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| | | **20 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20.30 | 323 | იარო-ინტერი | 1,95 | 3,3 | 3,4 | 1,22 | 1,23 | 1,67 |
| | | **ფინეთი. ფლეი აუტი** | | | | | | |
| | | **20 ოქტომბერი** | | | | | | |
| 16.00 | 324 | ტპ 47-კტპ | 2,9 | 3,3 | 2,2 | 1,54 | 1,25 | 1,32 |
| 17.00 | 325 | ოლკერიტი-ვაასა | 2,0 | 3,3 | 3,3 | 1,24 | 1,24 | 1,64 |
| 20.30 | 326 | კუოპიო-ტურკუ | 1,8 | 3,4 | 3,6 | 1,17 | 1,19 | 1,74 |
| 20.30 | 327 | ვამი-ჰაამეენლინა | 2,2 | 3,2 | 3,0 | 1,3 | 1,26 | 1,54 |
| | | **საბერძნეთი. თასი. 1/16 ფინალი** | | | | | | |
| | | **21 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20.00 | 328 | ირაკლისი-პანიონიოსი | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| | | **ჰოკეი. რუსეთი** | | | | | | |
| | | **19 ოქტომბერი** | | | | | | |
| 16.00 | 609 | ლადა-დინამო | 1,95 | 4,4 | 2,4 | 1,35 | 1,07 | 1,55 |
| 16.00 | 610 | ს.იულაევი-მოლოტი | 1,25 | 5,6 | 5,6 | 1,02 | 1,02 | 2,8 |
| 16.00 | 611 | მაგნიტოგორსკი-სევერსტალი | 1,95 | 4,4 | 2,4 | 1,35 | 1,07 | 1,55 |
| 16.00 | 612 | მეჩელი-აკ | 1,45 | 4,7 | 3,8 | 1,1 | 1,04 | 2,1 |
| 16.00 | 613 | ამური-ავანგარდი | 2,8 | 4,4 | 1,7 | 1,71 | 1,05 | 1,22 |
| 16.00 | 614 | ცსკა-სპარტაკი | 1,75 | 4,7 | 2,7 | 1,27 | 1,06 | 1,71 |
| 16.00 | 615 | ლოკომოტივი-ნოვოკუზნეცკი | 1,25 | 5,6 | 5,6 | 1,02 | 1,02 | 2,8 |
| 16.00 | 616 | კრილია-სიბირი | 1,5 | 5,0 | 3,4 | 1,15 | 1,04 | 2,02 |
| | | **20 ოქტომბერი** | | | | | | |
| 16.00 | 617 | აკ ბარსი-ნეფტეხიმიკი | 1,3 | 5,3 | 5,0 | 1,04 | 1,03 | 2,57 |
| | | **ჰოკეი. ჩეხეთი** | | | | | | |
| | | **18 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20.00 | 627 | ტრჟინეცი-ზნოიმო | 1,75 | 4,2 | 2,8 | 1,23 | 1,07 | 1,67 |
| 20.00 | 628 | ზლინი-პარდუბიცე | 2,45 | 4,2 | 1,95 | 1,54 | 1,08 | 1,33 |
| 20.00 | 629 | ჰავირჟოვი-ვიტკოვიცე | 2,45 | 4,2 | 1,95 | 1,54 | 1,08 | 1,33 |
| 20.30 | 630 | პლზენი-ლიბერეცი | 1,55 | 4,4 | 3,4 | 1,14 | 1,06 | 1,91 |
| 20.30 | 631 | კარლოვი ვარი-სპარტა | 2,6 | 4,2 | 1,85 | 1,6 | 1,08 | 1,28 |
| 20.30 | 632 | ბუდეიოვიცე-ლიტვინოვი | 2,2 | 4,2 | 2,2 | 1,44 | 1,1 | 1,44 |
| 21.00 | 633 | სლავია-ვსეტინი | 1,55 | 4,4 | 3,4 | 1,14 | 1,06 | 1,91 |
| | | **ჰოკეი. შვეიცარია** | | | | | | |
| | | **19 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22.30 | 642 | ფრიბურგი-ამბრი | 1,9 | 4,2 | 2,5 | 1,3 | 1,07 | 1,56 |
| 22.30 | 643 | სერვეტი-კლოტენი | 2,1 | 4,2 | 2,3 | 1,39 | 1,09 | 1,48 |
| 22.30 | 644 | ლუგანო-რაპერსვილი | 1,55 | 4,4 | 3,4 | 1,14 | 1,06 | 1,91 |
| 22.30 | 645 | ლანგნაუ-ბერნი | 2,15 | 4,2 | 2,25 | 1,42 | 1,09 | 1,46 |
| 22.30 | 646 | ციურიხი-დავოსი | 2,0 | 4,2 | 2,4 | 1,35 | 1,09 | 1,52 |
| 22.30 | 647 | ცუგი-ლოზანა | 1,85 | 4,2 | 2,6 | 1,28 | 1,08 | 1,6 |
| | | **ჰოკეი. გერმანია** | | | | | | |
| | | **17 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22.30 | 654 | ინგოლშტადი-კასელი | 2,1 | 4,2 | 2,3 | 1,39 | 1,09 | 1,48 |
| | | **18 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22.30 | 655 | ფრანკფურტი-კიოლნი | 2,1 | 4,2 | 2,3 | 1,39 | 1,09 | 1,48 |
| 22.30 | 656 | მიუნხენი-ნიურნბერგი | 2,15 | 4,2 | 2,25 | 1,42 | 1,09 | 1,46 |
| 22.30 | 657 | აისბერენი-ჰანოვერი | 1,45 | 4,4 | 4,0 | 1,09 | 1,06 | 2,09 |
| 22.30 | 658 | დიუსელდორფი-კრეფელდი | 1,65 | 4,4 | 3,0 | 1,2 | 1,06 | 1,78 |
| 23.00 | 659 | შვენინგი-მანჰაიმი | 2,8 | 4,2 | 1,75 | 1,67 | 1,07 | 1,23 |
| | | **ჰოკეი. შვედეთი** | | | | | | |
| | | **17 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22.00 | 673 | მალმო-ლინჩიოპინგი | 1,95 | 4,2 | 2,45 | 1,33 | 1,08 | 1,54 |
| 22.00 | 674 | ჰვ 71-ბრიუნესი | 1,4 | 4,4 | 4,4 | 1,06 | 1,06 | 2,2 |
| 22.00 | 675 | ტიმრო-ფროლუნდა | 2,2 | 4,2 | 2,2 | 1,44 | 1,1 | 1,44 |
| 22.00 | 676 | სოდერტელიე-ლულეო | 1,75 | 4,2 | 2,9 | 1,23 | 1,09 | 1,71 |
| 22.00 | 677 | ფერიესტადი-მოდო | 1,45 | 4,4 | 4,0 | 1,09 | 1,06 | 2,09 |
| 22.00 | 678 | იურგორდენი-ლეკსანდი | 1,7 | 4,2 | 3,0 | 1,21 | 1,08 | 1,75 |
| | | **ჰოკეი. ფინეთი** | | | | | | |
| | | **17 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20.30 | 688 | ჰაამეენლინა-საიპა | 1,85 | 4,2 | 2,7 | 1,28 | 1,09 | 1,64 |
| 20.30 | 689 | კერპეტი-ილვესი | 1,5 | 4,4 | 3,6 | 1,11 | 1,05 | 1,98 |
| 20.30 | 690 | ლუკო-ჰელსინკი | 2,45 | 4,2 | 1,95 | 1,54 | 1,08 | 1,33 |
| 20.30 | 691 | პელიკანსი-ტურკუ | 2,8 | 4,2 | 1,75 | 1,68 | 1,07 | 1,23 |
| | | **18 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20.30 | 692 | იოკერიტი-ჰელსინკი | 1,6 | 4,2 | 3,3 | 1,15 | 1,07 | 1,84 |
| | | **ჰოკეი. NHL** | | | | | | |
| | | **17 ოქტომბერი** | | | | | | |
| 04.00 | 710 | ბუფალო-რეინჯერსი | 2,2 | 4,0 | 2,25 | 1,41 | 1,11 | 1,44 |
| 04.00 | 711 | ფილადელფია-აილენდერსი | 1,65 | 4,0 | 3,2 | 1,16 | 1,08 | 1,77 |
| 04.00 | 712 | კაროლინა-ვაშინგტონი | 2,2 | 4,0 | 2,25 | 1,41 | 1,11 | 1,44 |
| 04.30 | 713 | ტორონტო-ფინიქსი | 1,8 | 4,0 | 2,8 | 1,24 | 1,09 | 1,64 |
| 05.00 | 714 | დეტროიტი-მონრეალი | 1,5 | 4,0 | 4,0 | 1,09 | 1,09 | 2 |
| 05.00 | 715 | სტ.ლუისი-კოლუმბუსი | 1,55 | 4,0 | 3,6 | 1,11 | 1,08 | 1,89 |
| 05.00 | 716 | მინესოტა-დალასი | 2,45 | 4,0 | 2,0 | 1,51 | 1,1 | 1,33 |
| 05.30 | 717 | ჩიკაგო-ფლორიდა | 1,65 | 4,0 | 3,2 | 1,16 | 1,08 | 1,77 |
| 06.00 | 718 | კალგარი-ბოსტონი | 2,2 | 4,0 | 2,25 | 1,41 | 1,11 | 1,44 |
| 07.30 | 719 | ლოს ანჯელესი-კოლორადო | 2,25 | 4,0 | 2,2 | 1,44 | 1,11 | 1,41 |
| 07.30 | 720 | სან ხოსე-ედმონტონი | 1,95 | 4,0 | 2,5 | 1,31 | 1,09 | 1,53 |

## ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 19.10 18.30 | 2601 | გერმანია ბლ. (IX ტური) | 25 ან ნაკლები – 1,9 | 27 ან მეტი – 1,9 |
| 19.10 16.00 | 2602 | ინგლისი პლ. (X ტური) | 25 ან ნაკლები – 1,9 | 27 ან მეტი – 1,9 |
| 19.10 21.00 | 2603 | იტალია "A" (VI ტური) | 23 ან ნაკლები – 1,9 | 25 ან მეტი – 1,9 |
| 19.10 23.30 | 2604 | ესპანეთი Iდ. (VI ტური) | 26 ან ნაკლები – 1,9 | 28 ან მეტი – 1,9 |
| 19.10 20.15 | 2605 | საფრანგეთი Iდ. (XI ტური) | 22 ან ნაკლები – 1,9 | 24 ან მეტი – 1,9 |
| 19.10 24.00 | 2606 | პორტუგალია Iლ. (VII ტური) | 23 ან ნაკლები – 1,9 | 25 ან მეტი – 1,9 |
| 18.10 23.00 | 2607 | ჰოლანდია Iდ. (VIII ტური) | 25 ან ნაკლები – 1,9 | 27 ან მეტი – 1,9 |
| 19.10 23.00 | 2607 | ბელგია Iდ. (IX ტური) | 26 ან ნაკლები – 1,9 | 28 ან მეტი – 1,9 |
| 18.10 22.00 | 2608 | თურქეთი. (IX ტური) | 26 ან ნაკლები – 1,9 | 28 ან მეტი – 1,9 |

სარბიელი

სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

კროკო

# კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, I კორპუსი | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | ცხინვალის გზატკეცილი №11 | წმინდაწყლის დასახლება |
| | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| | კოსტავას გამზირი №23 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №66 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| | ალმაშენებლის ქუჩა № 21 | (სავაჭრო ცენტრი ალამი 1) |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 13 | |
| ხელვაჩაური | ალმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 | |
| საგარეჯო | დავით აღმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ახმეტა | ჩოლოყაშვილის ქუჩა №49 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |

*ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.*

## გაიხსნა კროკოს ახალი ბიუროები

ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48, მელიქიშვილის ქ. №15

## კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

# მოვუგროთ ურუგვაის!



ილია ზედგინიძე მოედანზე გლადიატორივით იბრძვის

ბორჯღალოსანთა მწვრთნელმა კლოდ სორელმა თქვა, ილია ზედგინიძე დიდი მორაგბე გახდებაო. სორელს თუ არა, სხვას ვის დაეჯერება, მასზე უკეთ არავინ იცის ილიას ავ-კარგი. გაწონასწორებული, ზომიერად ემოციური, ერუდირებული, გლადიატორივით მებრძოლი — აი, ის თვისებები, სორელმა 25 წლის ზედგინიძეში რომ დაინახა და ნაკრების კაპიტნად დანიშნა. თამამი გადაწყვეტილება იყო. სორელმა ილო ხალხის უსაყვარლეს მორაგბეს ლევან ცაბაძეს ამჯობინა.

ზედგინიძის კაპიტნად კურთხევა ირლანდიასთან მატჩში მოხდა. მაშინ ჩვენებისგან გამარჯვებას არავინ ითხოვდა და ილოს, როგორც კაპიტანს, ნაკლები დატვირთვა ჰქონდა. რუსებთან კი დაძაბულობისა და ემოციების ქარცეცხლში ილოს უნდა ემართა გუნდი. უნდა ყოფილიყო ლიდერი და პირველ რიგში თავისი თავისთვის უნდა დაემტკიცებინა, რომ სორელი არ შემცდარა. ილომ ეს შეძლო

## რა უნდა ილია ზედგინიძეს? დაიმახსოვრეთ საქართველო!

— ვთვლი, რომ კაპიტნობას თავი გავართვი. ირლანდიასთან მაინც სულ სხვა იყო. იქ დაძაბულობა და მატჩის მნიშვნელობა არ იგრძნობოდა. რუსეთთან კი როგორც კაპიტანს, ძალიან დიდი მოვალეობა მეკისრებოდა. ვერ წარმოიდგენთ, როგორ ვნერვიულობდი მატჩის წინ, მაგრამ მერე თავს მოვერიე და მაქსიმალური ყურადღებით ვითამაშე. მგონი, შეცდომა არ დამიშვია. დასარტყმელი დავარტყმევინე და გასათამაშებელი გავათამაშებინე.

**— კლოდ სორელმაც თქვა, ილო ზედგინიძემ ამ მატჩის მოგებაში დიდი წილი დადოო.**

— სორელი ყოველთვის მენდობოდა და სულ მეუბნებოდა, შენი დიდი იმედი მაქვსო. კაპიტნად რომ დამნიშნა, მითხრა, ლიდერობა შეგიძლია, თანაც იმ ასაკისა ხარ, ვეტერანებსა და ახალგაზრდებს შორის ხიდი უნდა გადოო. რაც მთავარია, ყოფილი კაპიტნები — ზურაბ მჭედლიშვილი და ლევან ცაბაძე გვერდში დამიდგნენ და რჩევები მომცეს. მათგან სულ ვგრძნობ თანადგომას. ამ ორმა ბევრი მასწავლა, მაგრძნობინა, რომ მარტო არ ვარ და მძიმე ტვირთი შემიმსუბუქა.

**— გაზაფხულზე, რუსეთთან ფრედ დასრულებული მატჩის შემდეგ მორაგბეებმა თქვით, რომ გადაჭედილმა ტრიბუნებმა შეგბორკათ. ახლა არანაკლები რაოდენობის მაყურებელი მოვიდა სტადიონზე, მაგრამ გარედან ისე ჩანდა, თავისუფლად თამაშობდით. ფსიქოლოგიური კომპლექსი მოიშორეთ?**

— დიახ, გაზაფხულზე მეც და ალბათ სხვა დანარჩენებსაც ამდენი ქომაგის თვალწინ პირველად მოგვიწია თამაშმა. დავიბენით, მართლაც შებორკილები ვიყავით. ახლა კი ფსიქოლოგიური ბარიერი გადალახული გვქონდა. ვიცოდით, რომ დიდძალი გულშემატკივარი მოვიდოდა და ამისთვის თავიდანვე განვეწყვეთ. ასე ვთქვათ, საამისო იმუნიტეტი გამოვიმუშავეთ.

**— შენს კარიერაში ეს მატჩი ალბათ უმნიშვნელოვანესი იყო...**

— ალბათ კი არა, ასეა. მითამაშია იტალიის, ორჯერ ირლანდიის წინააღმდეგ, ევროპის ერთა თასიც მომიგია, მაგრამ ამ მატჩის მნიშვნელობა და დატვირთვა სხვა დანარჩენს ულაპარაკოდ გადაწონის. ეს იყო უმნიშვნელოვანესი მატჩი არა მარტო ქართული რაგბის, არამედ ჩვენი სპორტის ისტორიაში. წარმოიდგინეთ, მსოფლიოს თასზე ვითამაშებთ, მსოფლიოს საუკეთესო ოც ნაკრებთან ერთად. თანაც ეს გზა რუსეთზე გავიარეთ. ამით ყველაფერია ნათქვამი.

**— მატჩის შემდეგ რა ხდებოდა გასახდელში?**

— ამას სიტყვით ვერ გადმოგცემ. სიხარულისგან ისე ვყვიროდით და ვახტებოდით ერთმანეთს, იმდენი დაეჭვდელობა მივილეთ, რომ თამაშისას რუსებს არ უქნიათ ჩვენთვის. მერე გასახდელში მარტო ის ოცდაორი კაცი დავრჩით, რომლებიც მატჩის განაცხადში ვიყავით. ხელი გადავხვიეთ, წრეში დავდექით და საქართველოს ჰიმნი ვიმღერეთ. სხვა საქმეა ეს როგორ გამოგვივიდა, მაგრამ გულით ვიმღერეთ. ემოციებმა ერთბაშად ამოხეთქა, სიხარულისგან ვტიროდით.

**— სიხარული ალბათ არც ახლა განელებია...**

— პირიქით, რაც დრო გადის, უფრო და უფრო ვაცნობიერებ, რამხელა საქმე გავაკეთეთ. მომავალ თაობას გაკაფულ გზას დავუტოვებთ. ჩემი აზრით, მომდევნო თაობა ჩვენზე უკეთესი მოდის. მათ მეტის, უფრო სერიოზული წარმატების მიღწევა შეუძლიათ.

**— ისე ლაპარაკობ, თითქოს, შესაძლებლობები ამოწურეთ...**

— არა, მაგას არ ვამბობ, პირიქით, ვეტერანებსაც და უფრო ახალგაზრდებსაც კიდევ შეგვიძლია ზრდა. მსოფლიო თასამდე ერთი წელია, ეს კი საკმარისი დროა, რათა კარგად მოვემზადოთ და თამაშის ხარისხი გავაუმჯობესოთ. მსოფლიომ უკვე გაგვიცნო, ახლა მთავარია, თავი დავამახსოვროთ. ჩვენს მომდევნო თაობას მყარი ნიადაგი უნდა დავუტოვოთ, რათა მათ ყველაფერი თავიდან არ ჰქონდეთ დასაწყები. თუ ჩვენ მსოფლიოს თასზე წარმატებას მივაღწევთ, მათ კარგ მემკვიდრეობას დავუტოვებთ.

**— წარმატებაში ალბათ ერთი მატჩის მოგებას მაინც გულისხმობ.**

— მეტის გაკეთება ძალიან გაგვიჭირდება. ჯგუფში ისეთი გრანდები გვყავს, როგორებიც ინგლისი და სამხრეთ აფრიკა არიან. საქართველო ჯერ არ არის მზად იმისთვის, რომ ასეთ სახელებს ტოლ-სწორად ეთამაშოს. მათი სარაგბო კულტურა და ცოდნა საუკუნით გვისწრებს. რაგბი კი ლოგიკური თამაშია. სენსაციები მილიონში ერთხელ ან სულაც არ ხდება. ჩვენთან ბურთი მრგვალი არაა, ოვალურია.

სამოასთან ჭიდაობა შეიძლება, თუმც ნაკლებად რეალურია მათი დამარცხება. სხვა საქმეა ურუგვაი, რომელიც ჩვენზე ძლიერია, მაგრამ ერთი წელი ის დროა, რომ შეგვიძლია პროგრესირება და თამაშის ხარისხის გაუმჯობესება. კონკრეტული მიზანი უკვე დავისახეთ, მოვუგოთ ურუგვაის.

**— ვთქვათ და ვერ მოუგეთ. შეიძლება, ეს ხალხმა წარუმატებლობად მიიჩნიოს.**

— ხალხისა გასაგებია. ისინი სულ უფრო და უფრო მეტს ითხოვენ და სამართლიანადაც. მსოფლიოს თასზე გასვლით არ უნდა დავკმაყოფილდეთ, მით უმეტეს, პოტენცია გვაქვს, რომ მოვუმატოთ.

**— რაში უნდა მოუმატოს ნაკრებმა?**

— შერკინებაც და უკანა ხაზიც თავისი შესაძლებლობების ნახევარზე ოდნავ მეტს ავლენს. მეტი შეგვიძლია, დამიჯერეთ, ჩვენ ბოლომდე კიდევ ვერ გავიხსენით. ინდივიდუალურად ყველა კარგად ვართ მომზადებული, მთავარია, გუნდური თამაში დავხვეწოთ. სწორედ ამ მიმართულებით მოგვიწევს მუშაობა.

**— წელან თქვი, ჩვენი მიზანი ურუგვაის დამარცხებააო. ეს ხომ არ ნიშნავს, რომ სამხრეთ აფრიკასთან და ინგლისთან ძალებს დაზოგავთ, ისე როგორც ირლანდიასთან.**

— გამორიცხულია. ჯერ ერთი, ირლანდიასთან ძალების დაზოგვა წინასწარ ჩაფიქრებული ან განზრახული არ იყო. უბრალოდ, გარედან ისე ჩანდა, რომ თავი არ მოვიკალით. ასეც რომ ყოფილიყო, ამაში დასაძრახი არაფერია. მით უმეტეს, ორ კვირაში გაგანია ომი გველოდა რუსეთთან, რომელშიც წყდებოდა კიდეც ყველაფერი. მსოფლიოს თასზე კი დასაკარგი არაფერი გვაქვს. დებიუტანტები ვართ და ჩვენგან გამარჯვებებს არავინ ითხოვს. ასე რომ, ფსიქოლოგიურად თავისუფლად ვითამაშებთ. ძალების დაზოგვაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია.

**— ესე იგი, სამხრეთ აფრიკას და ინგლისს ნაღდ ბრძოლას გაუმართავთ...**

— დარწმუნებული იყავით. თავს შევაკლავთ. წარმოიდგინეთ, რა სიამოვნებაა მსოფლიოს თასზე თამაში, თანაც ინგლისი და სამხრეთ აფრიკა რომ გყავს მეტოქეებად. ჩვენმა თავს უნდა დავუმტკიცოთ, რომ მათი არ გვეშინია და ბევრ პრობლემას შევუქმნით. ხომ ვთქვი, მსოფლიოს თავს დავამახსოვრებთ.



ილია ზედგინიძემ კლოდ სორელს გაუმართლა

**ბაჩო სვანიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა



## ნიკა 7 წუთი გამოჩნდა

ადრე თუ გვიან ეს მოხდებოდა: აქამდე ნიკა ცქიტიშვილს „დენვერში" სათამაშო დრო არ აკლდა, ქართველი ამხანაგურ მატჩებში საკმაო ხანს ატარებდა „ნაგიტსის" ახალბედებთან და სათადარიგოებთან ერთად მოედანზე, ახლა კი, ჯეფ ბზდელიკის გუნდს გამოცდილნი შვებულებიდან რომ დაუბრუნდნენ, ჩვენებური რეზერვისტებს შეუამხანაგდა.

სეზონის დაწყებამდე ორი კვირაა და რა როგორ იქნება, არავინ იცის, მანამდე კი საგამოფენო მატჩებში ცქიტიშვილს თავი ჯერ ისე ვერ გამოუჩენია, ბზდელიკმა „დენვერის" ყველაზე გამოცდილსა და ნიკას პოზიციაზე მოთამაშე ჯორჯ მაკლაუდს, ანუც არცთუ ურიგო როდნი ვაიტს ამჯობინოს.

ოკლაჰომა სიტიში უმაკლონილო „ლეიკერსის" 103:81 ძლევის შემდეგ დენვერელებმა გუშინ ჩრდილოკაროლინურ ფეიტვილში მორიგი საგამოფენო მატჩი გამართეს მაიკლ ჯორდანის „ვიზარდსთან". ოკლაჰომაში ცქიტიშვილმა ათიოდ წუთი ითამაშა, ორი სამქულიანი ააცილა და ოთხიდან ერთი ორიანი ჩააგდო, გუშინ უარესი შედეგი ჰქონდა, „დენვერი" კი დაძაბულ ბრძოლაში დანებდა „ვაშინგტონს".

ფეიტვილის „ქროუნ კოლიზეუმში" თავმოყრილი 9 ათასი გულშემატკივრის უპირველესი სურვილი ცოცხალი ლეგენდის თამაშში ხილვა იყო. დარბაზში ბოლომდე ვილმინგტონელიც შეგროვდა — ეს პატარა ქალაქი ფეიტვილიდან დაახლოებით ერთი საათის სავალზეა და მაიკლ ჯორდანის მშობელქალაქობით იწონებს თავს. მოძღოდინეთ არ გამუართლათ, ჯორდანმა არ ითამაშა და, როგორც ვარაუდობენ, არც დარჩენილ საგამოფენო მატჩებში გაიქნევს ხელს.

თავად მატჩი ერთობ დაძაბული გამოდგა. „დენვერი" თამაშის დამთავრებამდე 3 წუთით ადრე 79:77 იგებდა, როცა ვაშინგტონელმა კვამე ბრაუნმა ეფექტურად ჩატენა და თავისი გუნდის გალაღებას დაუდო სათავე.

ნიკა ცქიტიშვილმა 7 წუთი დაჰყო მოედანზე და თითო სამიანი და ორქულიანი ესროლა, თუმც ორივე გააცუდა. როგორც ჩანს, ჩვენებურის პოზიციაზე მოთამაშე მაკლაუდი დიდი ავტორიტეტით სარგებლობს, რამეთუ 21 წუთში ქულა რომ ქულაა, ისიც ვერ შესძინა „დენვერს", ცქიტიშვილი კი ამ დროს სათადარიგო სკამზე ცქმუტავდა.

სამაგიეროდ, გაუმართლა დენვერელთა მეორე ახალბედასა და ცქიტიშვილის მეგობარ ნენე ილარიოს. „ნაგიტსს" ცენტრის პოზიციაზე უჭირს, მაღლები ვერც სტაბილურად თამაშობენ და მაკლაუდის დარი სახელითაც ვერ დაიკვეხნიან. ასე რომ, ბზდელიკს ილარიოს მოედანზე შეყვანის მეტი მოტივაცია აქვს, ვიდრე ჩვენებურის შემთხვევაში. ის კი არა, ილარიომ „ვაშინგტონთან" ყველაზე მეტხანს იბურთავა, თუმც მოსაწონი მხოლოდ მის მიერ ფარზე მოხსნილი 8 ბურთია. 27 წუთში ბრაზილიელმა 11-ჯერ ესროლა, საიდანაც ოდენ სამმა ნატყორცნმა მიაღწია მიზანს.

მორიგ საგამოფენო შეხვედრას „დენვერი" გამთენიისას „ინდიანასთან" გამართავდა.

**ირაკლი ბერძაია**

# პარადორნი ორმაგად რეჟიმობს

## კორტზე — უვიზოდ, სამშობლოში — ვიზიანად



პარადორნ შრიჩაფანი

**მასტერსის სერია**
მადრიდი. ჰარდი.
საპრიზო 2,950 მილიონი $

**პირველი წრე**

**პარადორნ შრიჩაფანი** (ტაილანდი) — გუსტავო კუერტენი (ბრაზილია) 6:4, 6:4; **ფელისიანო ლოპესი** (ესპანეთი) — არნო კლემანი (საფრანგეთი) 7:6 (7:5), 3:6, 6:4; **ჟან-მაიკლ გემბილი** (აშშ) — ანდრეი პაველი (რუმინეთი) 7:6 (7:3), 6:3; **ივან ლიუბიჩიჩი** (ხორვატია) — ფელიქს მანტია (ესპანეთი) 6:3, 6:4; **ნიკოლას ლაპენტი** (ეკვადორი) — მიხელ კრატოხვილი (შვეიცარია) 7:6 (7:5), 6:1

**მეორე წრე**

**აგუსტინ კალერი** (არგენტინა) — მარატ საფინი (3, რუსეთი) 7:6 (8:6), 7:6 (7:5); **ხუან კარლოს ფერერო** (5, ესპანეთი) — იარკო ნიემინენი (ფინეთი) 6:3, 6:7 (6:8), 7:5; **სებასტიან გროჟანი** (7, საფრანგეთი) — ქსავიე მალისი (ბელგია) 5:1 (მალისმა შეწყვიტა); **კარლოს მოია** (8, ესპანეთი) — ფერნანდო გონსალესი (ჩილე) 2:6, 7:6 (7:4), 7:6 (7:4)

დღის უმთავრეს მოულოდნელობად მესამე ნომრად განთესილი მარატ საფინის გავარდნა იქცა. ზორბა და ტლუ სკვითმუსლიმს წინა დღეს ჯეიმს ბლეიკის მაოტარი არგენტინელი, აგუსტინ კალერი მოერია. მატჩის ბედი საფინის გაუწონასწორებლობამ და 18 საქულე დარტყმის წილ დაშვებულმა 27-მა უნებლიე შეცდომამ გადაწყვიტა. სკვითის გახელება რამდენჯერმე ჩოგნის მაგარსაფარზე დახეთქებითაც გამოიხატა. ნამატჩევს მას შესამჩნევად მოეწყინა, რადგანაც მატჩამდეც კარგად უწყოდა, რომ ამ შეხვედრის წაგება მას დამტვრეულ ჩოგნებზე ძვირი დაუჯდებოდა — შანხაის მასტერსთასზე მოსახვედრად მოცილე მეჩოგნეთათვის ხომ ყოველი შეხლა ჩვეულებრივზე მეტად ფასობს!

ძალიან იმედგაცრუებული ვარო, ამბობდა საფინი. „სირცხვილია, პირველსავე წრეში ვაგებდე, რადგანაც ჩემი რანგის მოთამაშეს ალბათ გაცილებით მეტი მოეთხოვება. მაგრამ კალერი დღეს შეუდარებელი გახლდათ და ჩემთვის ფიორა შანსიც არ მოუცია".

სარბოლო სიტუაციის გაუმჯობესება სკვითი სანქტპეტერბურგულ და პარიზულ ტურნირებზე გეგმავს და უკვე ამთავითვე აცხადებს, რომ, უკეთუ შანხაიში გაემგზავრება, იქ უთუოდ გამარჯვებისთვის იბრძოლებს და სულაც არ ხიბლავს „ჩოგნისგაუნძრევლად მაყურის შოვნის პერსპექტივა".

კალერი, ვისი საუკეთესო წლევანდელი მიღწევები მალიორკულ და ბასტადურ თიხნარზე ნახევარფინალებამდე თამაშია, მომავალ მატჩს მაგნუს ნორმანისა და ტომას იოჰანსონის შიდაშვედურ კინკლაობაში ნახეირებთან გამართავს.

ხოლო სანამ დანარჩენი მატჩების მიმოხილვაზე გადავიდოდეთ, ტექსტის შესავალ და მომდევნო ნაწილებს შორის ჩემპიონთა რბოლის საამკვირაო ვითარებას წარმოგიდგენთ, რათა მკითხველმა თავადაც განსაჯოს, ვის როგორი და რანაირი შანსები აქვს წლის დამაგვირგვინებელ რვაკაცა ტურნირზე მოსახვედრად.

1 (1) ლეიტონ ჰიუიტი 697
2 (2) ანდრე აგასი 554
3 (3) მარატ საფინი 468
4 (4) ხუან კარლოს ფერერო 425
5 (5) ტიმ ჰენმანი 420
6 (6) კარლოს მოია 406
7 (10) როჯერ ფედერერი 398
8 (7) ალბერტ კოსტა 393
9 (8) ტომი ჰაასი 388
10 (9) ენდი როდიკი 383
11 (11) ირჟი ნოვაკი 376
12 (12) პიტ სამპრასი 347
13 (13) გილერმო კანასი 329
14 (14) ტომას იოჰანსონი 315
15 (15) ალექს კორეჩა 296
16 (16) სხენგ შალკენი 289
17 (17) ფერნანდო გონსალესი 286
18 (17) იუნეს ელ აინაუი 285
19 (19) დავიდ ნალბანდიანი 284
20 (20) გასტონ გაუდიო 279

შეგახსენებთ, რომ მასტერსტურნირებზე მეთექვსმეტედფინალში გასულს 7 ქულა ერიცხება, მერვედფინალისტს — 15, მეოთხედფინალისტს — 25, ნახევარფინალისტს — 45, ფინალისტი საქულე მარაგს 70 ერთეულით იმდიდრებს, გამარჯვება კი სულაც 100 ქულად ფასობს...

რაც შეეხება დანარჩენ შეხვედრებს, ამათგან საფინის მარცხის მომდევნოდ გამოსარჩევი სამგზის მეროლანგაროსე ბრაზილიელის, გუსტავო კუერტენისა და ბოლო თვეების განმავლობაში მოულოდნელად გაპარპაშებული ტაილანდელის, პარადორნ შრიჩაფანის ორსეტიანი განდაგანა იყოს.

ეს 23 წლის სახებუშტა ბანგკოკელი ჩვენი განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში წლევანდელი უიმბლდონის პირველსავე წრეში ანდრე აგასის დათრგუნვის შემდეგ მოექცა. მას მერე პარადორნმა კიდევ მრავალ სახელიან მეჩოგნეს უყელა, ლონგაილენდურ ტურნირზე კარიერის პირველი ტიტულიც მიითვალა და, თუკი ჩემპიონთა შარშანდელ რბოლაში ოდენ 112-ე გახლდათ, ახლა უკვე ზეოცდაათეულში ბოგინობს — თანაც საფუძვლიანად და აღზევების პერსპექტივით!

წინა კვირის განმავლობაში ლიონურ ფინალამდე ნაჩოგნავებ კუერტენს მისი სისხარტის, სიმძლავრისა და აგრესიულობის წინააღმდეგ არგუმენტები მხოლოდ ერთი-ორი გათამაშებისას აღმოაჩნდა. პარადორნმა პირველ მოწოდებათა 87 პროცენტი განაღდა, მთელი შეხვედრა უსწრაფესი ტემპით ჩაითამაშა და ალაგ-ალაგ ისეთი ბასრი ალმაცერები უბრახუნა, რომ ნატიფი ბრაზილიელი კორტზე 76 წუთზე მეტით არ დაყოვნებულა.

შრიჩაფანი: „უკვე ისე თავდაჯერებული ვარ, ვის წინააღმდეგაც უნდა ვთამაშობდე, შიში აღარ ვიცი. დასაკარგი არავისთან არაფერი მაქვს, ამიტომაც ვცდილობ, გავიდე და ჩემი საუკეთესო ჩოგბურთი ვაჩვენო. ეგ არის და ეგ– როცა გუგასთან ერთად გავდიოდი, ბევრმა დაიწყო — „მიდი, გუგა, აბა, შენ იცი!". ასეთ რამეს შეჩვეული ვარ, რადგანაც, თუ შენზე სახელიან და პოპულარულ მეჩოგნეს ეთამაშები, წინასწარ მზად უნდა იყო, რომ მას უფრო მაგრად უქომაგებენ... მთავარია, არ აღელდე, ბოლმა გულში ჩაიკლა და ყველას დაანახო ის, რისი მაქნისიც ხარ... თქვენ ამბობთ, რომ უკვე მეც ბევრი მიცნობს?! გასაკვირი არც ეგაა, მე ხომ მთელ გლობუსზე დავბოდიალობ. მეგობრები იმასაც მეუბნებიან, ტაილანდში უვიზოდ აღარ შემოგიშვებენ, იმდენი ხანია, არ ჩამოსულხარო. ეგ არა უშავს — პარიზულ ტურნირს ჩავამთავრებ თუ არა, ეგრევე შინისკენ. დავიღალე და სახლიც მომენატრა".

უხალისო და ვარამიანი ნამატჩევს არც კუერტენს ეთქმოდა. ის ბაიაში გამარჯვებასა და ლიონში ფინალამდე ბულრაობას იხსენებდა და კმაყოფილობდა, ყველაფერი რიგზეაო. „უკვე ისე მოვკეთდი, ტურნირებზე გამოსვლა ნებისმიერ შემთხვევაში სიამოვნებას მანიჭებს. თუ გავითვალისწინებთ, რომ სულ რამდენიმე თვის ნაოპერაციევი ვარ, ცუდი შედეგები ნაღდად არ მიჩვენებია. ბაიაში გამარჯვებას ამ მხრივ უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. თუკი ასე გავაგრძელე, მომავალ სეზონში კიდევ უფრო მეტს გავაკეთებ — ჩაფიქრებულიც ხომ ასე მქონდა, ჯერ აზრზე მოვსულიყავი, მერე კი სერიოზულ ამოცანებს შევჭიდებოდი".

შრიჩაფანისა და კუერტენის მატჩზე მეტი მოსეირე იმ დღეს, ცხადია, მასპინძელ ბობოლათა — ხუან კარლოს ფერეროსა (5) და კარლოს მოიას (8) მონაწილეობით გამართულმა შეხვედრებმა მიიზიდა. ერთსაც და მეორესაც ფიცხელი ომების გადატანა მოუხდათ, რათა ნიჭიერი მეტოქეები, შესაბამისად, ფინელი ნიემინენი და ჩილელი გონსალესი ეძლიათ. ორივე შეხლა სამსეტიანი გამოდგა და ზუსტად ერთსა და იმდენსავე დროს, 2 საათსა და 41 წუთს გაგრძელდა.

მოიასა და გონსალესის პაექრობა ერთ რამედ ღირდა — უმძაფრესი ხათქა-ხუთქის მის სასარგებლოდ გასრულება კი 26 წლის მალიორკელს ისე გაუხარდა, რომ სამატჩბურთო გათამაშების შემდეგ მუხლებზეც დაეცა. ეგეთი ჩოგნაობა მე არ მახსოვს, ეს ჩემი ცხოვრების ალბათ ყველაზე წარმტაცი მატჩი იყოო, ამბობდა მერე.

მოია: „ჰო, საარაკოდ ვიომეთ. მეორე სეტში მას შეეძლო, გავენადგურებინე, მაგრამ ვერ მოახერხა და ყველაფერიც მაშინ გადაწყდა. ასეთ მატჩებში ერთი წაფორხილებაც არ გეპატიება... მუხლებზე დამხობას რაც შეეხება, კარგად იცით, საერთოდ ასეთი რამეები არ მჩვევია, ამიტომ, თუ რაღაცას ასე აღვნიშნავ, ესე იგი, ასე აღნიშვნის ღირსი ყოფილა და ეგ არის".

მოიას ამგვარი ემოციურობის საწინააღმდეგო მადრიდულ „ელ როკოდრომოში" იმ დღეს არავის არაფერი ჰქონდა. მოიას ქომაგებს იმედი აქვთ, რომ მათი ჯილა მადრიდში წლის მეხუთე (აკაპულკოს, ბასტადის, უმაგისა და ცინცინატის შემდეგ) ტიტულის მითვლას შეძლებს და მასსავით 4-4 ტიტულის მომნაგვრელ ჰიუიტსა და აგასის გადაუსწრებს...

კოლოფერერომ კი 50 უნებლიე შეცდომის წილ 53 შედეგიანი დარტყმა მოაქუჩა და თითქმის ტოლსწორი ბურთაობის მიუხედავად, ნამატჩევს წარბის შეუხრელად ამბობდა, რომ საბოლოო შედეგში ეჭვი ერთი წამითაც არ შეპარვია. მე ყოველთვის მოგებაზე ვფიქრობო, დასძენდა მერე.

ლალი გასეირნება მასპინძლებს არც მომდევნო წრეში ელით — მოიას რობრედოსა და ნოვაკს შორის გამარჯვებული უნდა შეხვდეს, ფერეროს — კორეჩასა და კაფელნიკოვს შორის ნაჯომარდევი.

**SWISSCOM CHALLENGE**
ციურიხი. ჰარდი
საპრიზო 1,224 მილიონი $

**პირველი წრე**

**კიმ კლაისტერსი** (6, ბელგია) — დაია ბედანოვა (ჩეხეთი) 7:5, 6:2; **დანიელა ჰანტუხოვა** (7, სლოვაკეთი) — ჟანეტ ჰუსაროვა (სლოვაკეთი) 7:6 (7:5), 6:1; **ანასტასია მისკინა** (8, რუსეთი) — ლიზა რეიმონდი (აშშ) 6:4, 4:6, 6:2; **პატი შნიდერი** (შვეიცარია) — დენიზა ჩლადკოვა (ჩეხეთი) 6:3, 6:2; **ალექსანდრა სტივენსონი** (აშშ) — აი სუგიამა (იაპონია) 6:3, 6:4

წინა უქმეებზე ფილდერშტადტში გაჩემპიონებულმა კიმ კლაისტერსმა ტურნირი ჩეხი ბედანოვას ოტებით დაიწყო. ფუმფულა ბელგიელს პრობლემები არ შექმნია — მეტოქე ორივე სეტში თავიდანვე გატეხა და, რაკილა საპასუხოდ თავისი გეიმები არ დაუთმია, საოსტატო გრაფიკში იოლად ჩაეტია.

მომდევნო წრეში კლაისტერსი ადგილობრივთა ფავორიტს, მსოფლიოში მე-19 ჩოგნის მჭნეველსა და 23 წლის პატი შნიდერს შეეხლება. პატიმ თავის მხრივ იმ დღეს ჩეხი დენიზა ჰლადკოვა დაამარცხა და მერე ძირითადად იმაზე ისაუბრა, რომ მისი მიზანი სულაც არ არის სეზონის გამასრულებელ 16-ქალა ჩემპიონატზე მოხვედრა. „ვცდილობ, ამაზე საერთოდ არ ვიფიქრო, რათა არ დავიძაბო და არ დავკარგო მიმდინარე ამბებით ტკბობის უნარი" — თქვა მან.

ხოლო რამდენადაც ჩვენ ამ 16-ქალა ბობოლა ტურნირზე ფიქრი და მსჯელობა უახლოეს პერიოდში კიდევ ძალიან ბევრჯერ მოგვიწევს, ბარემ აქვე გაახლებთ იმ ათი ქალმეჩოგნის სიას, ვინაც იქ მონაწილეობის უფლება უკვე მოიპოვა, და ზედაც მათმომდევნო იმ ათი ქალმეჩოგნის ჩამონათვალსაც დავურთავთ, ტურნირის დაწყებამდე, ანუ 6 ნოემბრამდე, ერთმანეთს დარჩენილ 6 ადგილს რომ შეეცილება.

**უკვე გავიდნენ:** *სერენა უილიამსი (აშშ, 5596 ქულა), ვინუს უილიამსი (აშშ, 4844), ჯენიფერ კაპრიატი (აშშ, 3455), ამელი მორესმო (საფრანგეთი, 3068), მონიკა სელეში (აშშ, 2796), ჟუსტინ ენენი (ბელგია, 2659), კიმ კლაისტერსი (2534), დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი, 2495), ელენა დოკიჩი (იუგოსლავია, 2454), მარტინა ჰინგისი (შვეიცარია, 2348).*

**დარჩენილი 6 საგზურისთვის იდავებენ:** *ანასტასია მისკინა (რუსეთი, 1918), სილვია ფარინა ელია (იტალია, 1620), ჩანდა რუბინი (აშშ, 1526), ლინდსი დევენპორტი (აშშ, 1419), მაგდალენა მალეევა (ბულგარეთი, 1415), ანა სმაშნოვა (ისრაელი, 1405), ელენა დემენტიევა (რუსეთი, 1365), ნატალი დეში (საფრანგეთი, 1269), აი სუგიამა (იაპონია, 1241), ელენი დანილიდუ (საბერძნეთი, 1201).*

შეგახსენებთ, რომ ხსენებული ტურნირი 1972 წლიდან იმართება, მას „პორშე" მთავარსპონსორობს და მასზე მოპაექრე ქალები ჯამში 3 მილიონ დოლარს ინაწილებენ. წლეულს ტურნირს ლოს ანჯელესი უმასპინძლებს.

ხოლო იმდღევანდელ შეხვედრებს თუ მოვუბრუნდებით, სათქმელი და წასაკითხი არც ისე ბევრი რჩება. განთესილებმა იმარჯვეს, ხოლო ბოლო დროს რიგიანად აჩოგნავებულმა ალექსანდრა სტივენსონმა ზემორე სიათაგან მეორეში ნახსენები აი სუგიამა გააბუნძურა.

ეგ იყო და ეგ!

**ლევან ძელაურაძე**



მარატ საფინი

## რეგულარული ჩემპიონატი



REUTERS

ფილადელფიელმა ტოდ ფედორუკმა მონრეალელ მარიუშ ჩერკავსკის ცაცია აჯობა

# ჯონ, შენ რა, ივანე ხარ მრისხანე?!

15 ოქტომბერი

**რეინჯერსი 5:4 ტორონტო 0:1 3:1 2:2**
**0:1 პოგლუნდი (7), 1:1 ბარნაბი (33), 2:1 პოტი (38), 3:1 პ. ბურე (39), 3:2 ტაკერი (40), 4:2 პ. ბურე (47), 4:3 კაბერლე (54), 5:3 სამუელსონი (55), 5:4 ანტროპოვი (56)**

მილიონებსაც ხარჯავს, თავკაცებსაც ხშირ-ხშირად იცვლის, მაგრამ რეინჯერსმა გააზრებული თამაში ვერა და ვერ ისწავლა. ახალი მწვრთნელის ბრაიან ტროტიეს გუნდი წლეულსაც მოხეტიალე ცირკს უფრო წააგავს, ვიდრე შერწყმულ კოლექტივს. ზედიზედ ორი მწარე მარცხის შემდეგ გუნდს, რომელიც აღმოსავლეთის ფავორიტად შერაცხეს, სწორი დასკვნები უნდა გაეკეთებინა, მაგრამ... ტორონტოსთან თამაშში ნიუიორკელები კვლავაც არ გამოირჩეოდნენ სათამაშო დისციპლინით, ხოლო დაცვა ზოგჯერ წარმოუდგენლად სცოდავდა.

გაოცდებით, ალბათ, ამას რომ ვამბობთ გუნდზე, რომელმაც მოიგო, მაგრამ ეს მხოლოდ შემთხვევითობაა. იმ დღეს ტორონტოს შეცდომები უფრო საბედისწერო აღმოჩნდა. პაველ ბურე კი გამოირჩა. მან პირველი მატჩები ავადმყოფობის გამო გამოტოვა და სადებიუტო შეხვედრაშიც ნაკლებად ჩანდა, მაგრამ ორად ორი შანსი მიეცა და ორივე ბრწყინვალედ გამოიყენა. მისი მეორე გოლის შემდეგ მატჩის ბედი თითქოს გადაწყვეტილი იყო, მაგრამ რეინჯერსმა თავისი უნიათობით მატჩს ბოლომდე შეუნარჩუნა ინტრიგა. მასპინძელთა მეკარემ მაიკ რიხტერმა მხოლოდ მაშინ ამოისუნთქა, საფინალო სირენის ხმა რომ გაიგო.

**დალასი 3:0 ედმონტონი 2:0 1:0 0:0**
**1:0 ბუშე (3), 2:0 ლემტინენი (16), 3:0 ლეჰტინენი (33)**

ედ ბელფორის ზურგს უკან კიდევ ერთი კარგი მეკარე წამოიზარდა. ახალგაზრდა მარტი ტურკომ ბოლო სეზონებში „არწივის“ დუბლიორად ყოფნისას ისე აიმაღლა სათამაშო დონე, რომ თავად ბელფორის, პირველი მეკარის პოზიცია შეარყია. ამ ზაფხულს დალასი ამიტომაც შეელია ედის იოლად და არც სხვა სახელიანი მეკარის ძებნა დაუწყია. ენდნენ ტურკოს და რომ არ შეცდნენ, ეს მან ედმონტონთან შესანიშნავი თამაშითაც დაადასტურა.

**მონრეალი 2:6 ფილადელფია 1:2 1:2 0:2**
**0:1 რეკი (9), 0:2 ლეკლერი (12), 1:2 პერო (15), 1:3 ლეკლერი (24), 2:3 კოივუ (28), 2:4 ლეკლერი (37), 2:5 ლეკლერი (44), 2:6 მ. მიური (50)**

აი, სეზონის პირველი ჰოკერიც. 7 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ჯონ ლეკლერი მონრეალიდან ფილადელფიაში გადავიდა, მაგრამ „მფრინავთა“ ლიდერი კვლავ მოწადინებულია, თავის ყოფილ კლუბს აგრძნობინოს, რა დაკარგა. აქამდელ 28 მატჩში ლეკლერმა უკვე მოახერხა 23 გოლის გატანა, მაგრამ „დიდი ჯონის“ რისხვამ ამჯერად ყველა ზღვარს გადააცილა — 4 შაიბა შეაგდო წინა სეზონის უძვირფასეს ქოზე თეოდორის კარში.

**სენტ ლუისი 2:1 კაროლინა 0:1 0:0 1:0 1:0**
**0:1 ი. სვობოდა (8), 1:1 ხავანოვი (44), 2:1 კოივისტო (64)**

რაინჰარტ დივისმა პირველი მატჩი ჩაატარა სენტ ლუისის რიგებში და ლიგის პირველი ავსტრიელი მოთამაშე შეიქნა. თავი არ შეურცხვენია 26 წლის მეკარეს, 24 დარტყმიდან მხოლოდ ერთი ვერ მოიგერია.

**ოტავა 2:1 ფინიქსი 0:0 1:1 1:0**
**1:0 ჰოსა (25), 1:1 ნუმინენი (31), 2:1 ალფრედსონი (55)**

**აილენდერსი 4:3 ნეშვილი 1:2 1:1 1:0 1:0**
**0:1 ა. იოჰანსონი (4), 0:2 ა. იოჰანსონი (7), 1:2 სკაჩარდი (13), 1:3 სკრასტინში (21), 2:3 პერიში (28), 3:3 იაშინი (46), 4:3 ოკუანი (62)**

ოვერტაიმის მეორე წუთზე ნიუიორკელმა ბრედ ისბისტერმა ბულიტი ვერ გამოიყენა, მაგრამ სულ რაღაც სამ წამში (!) მასპინძლებმა მაინც იხეირეს. შონ ბეიტსმა შაიბის ჩაგდება მოიგო და ადრიან ოკუანს გადააწოდა, რომლის უძლიერესი დარტყმაც ბულიტზე ძნელი ასაღები აღმოჩნდა ნეშვილელი ტომაშ ვოკოუნისთვის.

**მინესოტა 4:1 ფლორიდა 2:0 1:1 1:0**
**1:0 მაკოლტი (7), 2:0 ლააკსონენი (8), 3:0 ბომბარდირი (23), 3:1 ჰაგმანი (34), 4:1 მაკოლტი (60)**

ჩინებულად ჩატარებული საგამოფენო მატჩების შემდეგ მინესოტა სულაც არ აპირებს ტემპის დაგდებას: სექტემბერ-ოქტომბერში ჩატარებულ 11 თამაშში ერთხელაც არ წაუგია.

**სამველ ლარიბიანი**



REUTERS

აშარ და ხხუბისთავ რეინჯერსელ დარიუს კასპარაიტისის მორიგი მსხვერპლი ტორონტოელი დარსი ტაკერი გამოდგა

## კვირის მოთამაშე

### ბილ გერინი (დალასი)



მიუხედავად იმისა, რომ ჩემპიონატის პირველი კვირა ფაქტობრივად ხუთდღიანი იყო (პირველობა ოთხშაბათს დაიწყო), რამდენიმე მოთამაშემ უკვე მოასწრო თავის გამოჩენა. ცხადია, სასტარტო მატჩებში ყველაზე მეტად ახალბედებმა მოიწადინეს, აგრეთვე მათ, ვინც კლუბი შეიცვალა. ჰოდა, ყველაზე უკეთ მათ გამოუვიდათ, ვისგანაც ხეირს ელოდნენ. ცნობილმა მეგოლემ ბილ გერინმა თავის ახალ კლუბ დალასის მესვეურთ უმალ დაანახვა, რომ გოლების გატანა კვლავ ეხერხება. ტეხასური კლუბის მიერ შეგდებულ პირველ ხუთ შაიბაში გერინმაც შეიტანა წვლილი, მისთვის საუკეთესო კი ანაჰაიმთან პარასკევს გამართული შეხვედრა გახდა (4:2), რომელშიც ფორვარდმა 2 გოლი და 2 პასი მიითვალა. საბოლოოდ გერინმა კვირა 3 მატჩში შეძენილი 6 (3+3) ქულით ჩაამთავრა და სეზონის პირველი ყოჩიც დამსახურებულად გახდა.

**კვირის ექვსეული (9-13 ოქტომბერი)**

*მარტი ტურკო (დალასი, 1); ნიკლას ლიდსტრომი (დეტროიტი, 1) — სანდის ოზოლინში (ფლორიდა, 1); ბილ გერინი (დალასი, 1) — მარკ რეკი (ფილადელფია, 1) — ალექსანდრ მოგილნი (ტორონტო, 1)*

# კარგი რა, მამა

## ოჯახის უფროსები გაძველბიჭებულ შვილებს აჭკვიანებენ

**ზაფხულში** ლიგის მესვეურებმა წესები რამდენადმე შეცვალეს, რაც ერთი შეხედვით თითქოს უმნიშვნელო ამბად ჩანდა, თუმცა, როგორც ჩემპიონატის სასტარტო მატჩებმა ცხადყო, ამან კაიხელა შედეგი გამოიღო. თუ ყველაფერი ასევე გაგრძელდა, მომავალში სახეშეცვლილ, მართლაც რომ XXI საუკუნის ჰოკეის ვიხილავთ.

ყველაფერი კი სოლტ ლეიკ სიტიში დაიწყო. ეს, მოგეხსენებათ, მეორე ოლიმპიადა იყო პროფების მონაწილეობით. პირველი იაპონიაში გაიმართა და ამერიკელთა უმრავლესობა მას ვერ დაესწრო. სოლტ ლეიკში კი უკლებლივ ყველამ დაინახა, რამდენად პროგრესულია ევროპული ჰოკეის (საერთაშორისო ფედერაციის) წესები და შთაბეჭდილება იმდენად დიდი იყო, რომ საკმაოდ კონსერვატორმა ლიგის ბოსებმა გადაწყვიტეს, ისინი ნჰლ-შიც გამოეყენებინათ. „თუ ეს ვერ განხორციელდა, მომავალ წელს ლიგაში ვეღარ ვიმუშავებთ“ — აღიარა ნჰლ-ის კომისარმა გარი ბეტმენმა სეზონის წინ და აღარც დააყოვნა.

პირველი წესის თანახმად, პაუზა თამაშის გაჩერებიდან შაიბის ჩაგდებამდე 25 წამით შემოიფარგლა. თუ რომელიმე გუნდის მოთამაშეებმა ვერ მოასწრეს შემადგენლობის შეცვლა და ყინულზე გამოსვლა, შაიბას მაინც აგდებენ და შესაბამისად მას მეტოქე ეუფლება. დროის განგებ გაწელვის გამო კი გუნდი ორი წუთით ჯარიმდება. ეფექტი საოცარია: ჯერ ერთი, მკვეთრად შემცირდა საერთო სათამაშო დრო. აქამდე მატჩი ზოგჯერ სამსაათიან მარათონად იქცეოდა ხოლმე, ზოგიერთი პერიოდი ერთ საათს გრძელდებოდა (შეგახსენებთ, რომ ერთი პერიოდის სუფთა სათამაშო დრო 20 წუთია). გარდა ამისა, პაუზა ჭიანურდებოდა იმის გამოც, რომ შაიბის ჩაგდებამდე მეტოქეები უაზროდ ეკინკლავებოდნენ ერთმანეთს. ახლა სურათი რადიკალურად შეიცვალა და საერთო სათამაშო დროც 15-20 წუთით შემცირდა.

მეორე ცვლილება კი ისეთია, ამიერიდან მეტოქის წინააღმდეგ ეგრეთ წოდებულ მცირე ჯარიმებს (მაისურაზე მოქაჩვა, ყვანჯით მოქაჩვა და ა.შ.) ვეღარავინ გამოიყენებს, თუ იგი ამ მომენტში შაიბას არ ფლობს. ნებისმიერი ამგვარი დარღვევა ორწუთიანი ჯარიმით ისჯება.

უნდა ითქვას, რომ ჯერჯერობით მსაჯები ზედმიწევნით გულმოდგინედ ასრულებენ ამ წესს და უმნიშვნელო ჯარიმასაც არ ტოვებენ უყურადღებოდ, რის გამოც საჯარიმო სკამი ცარიელი არასოდეს რჩება. სამაგიეროდ, გუნდებს საშუალება ეძლევათ, ხშირად ითამაშონ რიცხვმრავლობაში და შესაბამისად მეტი გოლიც გაიტანონ.

მთავარი კი ის არის, რომ „ხაფანგებისა“ და დაცვის სხვა ბინძური სისტემის მოყვარულთ საბოლოოდ შეეკრათ ხელ-ფეხი — ჯარიმის ფასად მეტოქის შეჩერებას ვეღარავინ რისკავს. ამიტომაც თამაში უფრო სწრაფი, კომბინაციური და ნაკლებმოსაწყენი გახდა. ასე რომ, ჰოკეი თანდათან უახლოვდება იმ იდეალს, რაც თავიდან იყო ჩაფიქრებული.

ცხადია, ასეთ პირობებში უპირატესობა ტექნიკურ ჰოკეისტებს მიენიჭებათ, რაც თავისთავად მისასალმებელი ფაქტია. თუ ჩატარებული თამაშების ოქმებს გადახედავთ, დარწმუნდებით, რომ ყველა მატჩში მინიმუმ ერთი გოლი მაინც გავიდა რიცხვმრავლობაში.

ცხადია, ამ წესებს მოწინააღმდეგენიც ჰყავს. „თავი შეურაცხყოფილად ვიგრძენი, როცა ბოლო წუთზე მსაჯმა ზედიზედ ორი მოთამაშე გააძევა. სამაგიეროდ, ბატონი ბეტმენი კმაყოფილი იქნება“ — იკბინებოდა ნეშვილის მეკარე მაიკ დანემი მას შემდეგ, რაც მისმა გუნდმა ბოლო წუთებზე ვაშინგტონთან წააგო. ფლორიდის თავკაც მაიკ კინენის თქმით კი, მსაჯები ისე გადაჰყვნენ ამ წესებს, ზოგჯერ თავსაც ვერ აკონტროლებენ. ბევრის აზრით, ლიგას ჩემპიონატის დასაწყისში ადრეც მრავალჯერ წამოუწყია უხეშობასთან ბრძოლა, მაგრამ ბოლომდე არასოდეს.მიუყვანია. პლეი ოფი რომ იწყება, ყველაფერი ძველებურად რჩებაო.

ვნახოთ, რამდენად თანმიმდევრული იქნება ლიგა ამჯერად, თუმცა, ვფიქრობთ, შედეგი იმდენად თვალსაჩინოა, რომ სალი აზრი ნამდვილად გაიმარჯვებს.

ნჰლ კიდევ რამდენიმე ევროპული წესის შემოღებას აპირებს, მათ შორის წითელი ხაზის წესის გაუქმებას და მოჩხუბართა უმკაცრეს დასჯას.

**სამველ ლარიბიანი**



ზოგჯერ მსაჯები მოთამაშეთა გაშველებას ვერც ახერხებენ

# ნაგეზულის ცემლა

მადრიდში ჩოვბურთია და რობერტო კარლოსიც მისულა თავის ალექსანდრასთან ერთად. მითუმეტეს, რომ ბრაზილიელი თამაშობდა. მაგრამ რად გინდა: გუსტავო კუერტენს ტაილანდელ პარადორნ შრიჩაფანთან წაუგია და ცოლ-ქმარსაც დიდი ქომაგობა არ ეტყობა.



REUTERS მადრიდიდან



REUTERS ნიუ იორკიდან

# აი, დები

აბა, უამათოდ როგორ იქნება: წლის დიზაინერთა დაჯილდოებაზე, „ვოგ ფეშენ ევარდზე“ ნიუ იორკის ცნობილ „რედიო სიტის“ მიუზიკჰოლში დიდი ყეენობა გაიმართა და ორი შავი ვენერაც იქ იყო: დები სერენა (მარცხნივ) და ვინუს უილიამსები. ჯანსაღობაა, ჩვენმა მზემ.

# იმ ქვეღი მარათონელივით

ეს რა დაემართა მიანმელ მარათონელს ზავ მინ ჰტვეს: მთელი მარათონი ასე კოხტად და ფეხშიშველად გაირბინა და ეგებ აზიის თამაშების ჩემპიონიც კი გამხდარიყო, მაგრამ ფინიშამდე რამდენიმე ასეული მეტრი რომ რჩებოდა, უკვე სტადიონზე შესულს წელმა უმტყუნა და დაკვრანჩხულმა სიარულით ძლივს გადაჰკვეთა ფინიშის ხაზი. ჰტვე მერვე ადგილზე გავიდა. ჩემპიონი კი მასპინძელთა ლი ბონგჟუ გახდა, პუსანელ ქომაგთა კერპი.



REUTERS პუსანიდან

# დედოფალი და მოხუცი

ბრიტანეთის დედოფალ ელისაბედ II-ს ჯერაც არ მოუმთავრებია თავისი ოქროს იუბილესადმი მიძღვნილი მოგზაურობა თანამეგობრობის ქვეყნებში. ახლა დედოფალი ოტავაშია და კანადის პრემიერმინისტრმა ლანჩიც გაუმართა, რომელზედაც ორმოცდაათი რჩეული კანადელი იწვია, რომელთა შორისაც ცხადია იყო ჰოკეის ლეგენდა, ასე ლამაზად მოხუცებული ჟან ბელივუ.



REUTERS ოტავადან



REUTERS ჰონკონგიდან

# მსხვერპლნი

ტერორისტების მიერ კუნძულ ბალიზე მოწყობილმა სისხლიანმა ტერაქტმა მრავალი ადამიანი იმსხვერპლა, მათ შორის კი „ჰონკონგ ფუტბოლ კლაბის“ ინგლისელი მორაგბენი კლაივ უოლტონი (მარცხნივ) და პიტერ რიკორდი. კურორტზე ბალის ათგუნდა ტურნირი მიმდინარეობდა.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაკა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, ხვიჩა ღვაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge